

გურამ ბათიაშვილი

ლალი, სიყვარული და სხვები
პიესა ორ მოქმედებად

მოქმედი პირები:

ლალი – 18 წლის
ოლლა – 60-65 წლის
თინა – 40-42 წლის
ანეტა – 50-55 წლის
ნაზი – 22-24 წლის
კოტე – გამომძიებელი
თემური – 20 წლის, ციხის ზედამხედველი
ბაადური – 50 წლის, სამუშაოთა მწარმოებელი
გოგი – 25 წლის
ზურა – 25 წლის

მოქმედება პირველი

გოგონას უკან მძიმედ მოიხურა კარი. გულგრილი, თითქოს ყოველივე ამქვეყნიურისაგან დაცლილი გოგონა სცენის შუაგულში შედგა. იგი ვერ გრძნობს, რომ მოვიდა, ვერც იმას გრძნობს, თუ სად მოიყვანეს. ნელ-ნელა გამოერკვევა, მიმოიხედავს, სცენას მოათვალიერებს და უცებ იყვირებს.

ლალი. თემურ, თემურ! (მიაყურადა. პასუხი არავინ გასცა. ახლა თითქმის შეძრ-წუნებულა. სასოწარკვეთილი ყვირის.) თემურ, თემურ! (ისევ მძიმედ გაიღო კარი.) სად წახვედი? მოდი აქ!

თემური. არ შეიძლება, ვერ შემოვალ.

ლალი. შემოდი, გეხვეწები, შემოდი!

თემური. არ შეიძლება-მეთქი, გითხარი!

ლალი. მეშინია, შემოდი!

თემური. (შემოდის) გეშინია? შენ გეშინია?

ლალი. მეშინია! დაყრუვდი? ეს სად მომიყვანე, სადა ვარ!

თემური. წინასწარი დაკითხვის ოთახში.

ლალი. ხომ დამკითხეს უკვე.

თემური. ჯერ სადა ხარ, შენ გგონია, ასე იოლად დამთავრდება ყველაფერი?

ლალი. კი, მაგრა... მე არაფერი დამიძალავს, მე ყველაფერი ვთქვი.

თემური. ეჰ... სიგარეტი გინდა?

ლალი. არა!

თემური. რას მიყვირი. იქნებ მიეჩვია-მეთქი. აქ ბევრ რამეს ერკვევიან.

ლალი. რა მითხარი?

თემური. თუ ძალიან არ გინდა, ნუ მიეძალები.

ლალი. სულაც არ მინდა.

თემური. გახსოვს, ერთხელ, დათომ როგორ...

ლალი. (ყვირის). გაჩუმდი, დათოს ნუ ახსენებ!

თემური. რა გემართება, იქნებ რაღაც მინდა გკითხო.

ლალი. ნუ მკითხავ! არ მინდა. არაფერი მკითხო.

თემური. ერთი რამ მაინტერესებს ძალიან.

ლალი. დამანებე თავი! თქვენ ყველაფერი გაინტერესებთ, ყველაფრის გაგება გინდათ. გადი აქედან!

თემური (დაბნეული, გასვლას აპირებს). მეშინიაო, იყვირე, თორემ...

ლალი. აქ რამდენ ხანს ვიქნები?

თემური. მაგას მე არ მეკითხებიან. მე უბრალო ზედამხედველი ვარ და მეტი არაფერი.

გოგონა ერთხელ კიდევ მოათვალიერებს ოთახს.

რას აკვირდები?

გოგონამ ხმა არ გასცა, პაუზის შემდეგ.

გახსოვს, სამივე ერთად რომ ვაბარებდით გამოცდებს?

ლალი. ჰო.

თემური. დათო მე გაგაცანი, სულ შემთხვევით გაგაცანი, გახსოვს?

ლალი. ჰო.

თემური. მე დაუსწრებელზე ჩავაბარე, შენ მშენებლობაზე დაიწყე მუშაობა, მე – აქ.

ლალი. ჰო.

3.

თემური. მე რომ დათო არ გამეცნო შენთვის, არც არაფერი მოხდებოდა.

ლალი. ჰო! ჰო! ჰო! მერე? მერე, რა გინდა? შენ გამაცანი, ის მოხვდა, მე მშენებლობაზე, შენ – აქ! მერე? მერე, რა გინდა, თქვი!

თემური. რა მინდა და, მე რომ არ გამეცნეთ ერთმანეთისთვის, ახლა შენც ბედნიერი იქნებოდი, ისიც და...

ლალი. კიდევ ვინ?

თემური. მე!

ლალი. არაფერი შენ არ გესმის, არაფერი!

თემური. შენ ბატონ კოტესთანაც თუ ასე იყვირე...

ლალი. კოტე ვინდაა?

თემური. გამომძიებელი.

ლალი. ხომ იყო გამომძიებელი, ხომ ყველაფერი ვთქვი. საქმეც დამთავრე-ბულიაო... აღარ შემიძლია მეტი!

თემური. შენი საქმე პროკურატურამ დააბრუნა ხელახალი ძიებისათვის, ამიტომ გადასცეს კოტე ნიკურაძეს.

ლალი. ჩემთვის სულერთია კოტე ნიკურაძე იქნება თუ ვასილ სამსონია.

თემური. ნიკურაძეს ნუ ეხუმრები. ქვა და რკინაა... ბოლომდე ჩაგყვება და სინამდვილეს გაიგებს.

ლალი. მე ყველაფერი ვთქვი, არაფერს ვმაღავ.

თემური. იმან ხო მარ იცის, რომ არ მაღავ.

ლალი. მე მოვკალი-მეთქი, ვამბობ, ამაზე მეტი რაღა უნდა ვთქვა?!

თემური. არ მეგონა დათოს თუ გაიმეტებდი.

ლალი. გამანებე თავი, გადი აქედან! რატომ მელაპარაკები ასე მშვიდად, ასე დალაგებულად!

ჩქარი ნახიჯით შემოდის კოტე. პირქუში, გაუღიმარი კაცია, ლაპარაკობს ხმადაბლა, მშრალად.

კოტე. გამარჯობათ! რა ხმაურია! (ჩანთა მაგიდაზე დააგდო, ლალის.) რაო, არ მოგწონთ ჩვენთან? (თემურის.) თქვენ აქ რა გინდათ?

თემური. მე ისე... მთხოვა და...

კოტე. კარიც ღია დაგიტოვებიათ. ხომ იცით, რით შეიძლება დამთავრდეს ასეთი რამ...

თემური. ვიცი... მეშინიაო იყვირა და... ერთი წუთით შემოვედი.

კოტე. გადით. მეორედ არ გააკეთოთ ასეთი რამ! დაიცადეთ! მანდ ხალხი მელოდება, მიხედეთ! კიდევ უნდა მოვიდეს ორი კაცი. დააცდევინეთ.

თემური მიდის.

დაიცადეთ. ნივთმტკიცება არ მოუტანიათ?
თემური. კი, იქ არის.
კოტე. შემოიტანეთ.

თემური გადის და შემოაქვს ორლულიანი სანადირო თოფი.
კარგით.

თემური გადის. კოტემ თოფი ხელში აიღო, მაგრამ უაზროდ უჭირავს. რადგან დაჟინებით მისჩერებია ლალის, თითქოს უნდა მის სულს ჩასწვდესო.

4.

ლალიმ თავი დახარა. კარგა ხანს გრძელდება ასე. კოტე კვლავ გარინდებული მისჩერებია ლალის. მერე თოფზე ანიშნებს.
ეს არის?

ლალიმ მხრები აიწურა, ალბათ, ეს არისო. კოტე ახლა თოფს ათვალთვლებს.
კუთხეში მიაყუდება.
დაჯექი!

ლალი მორჩილად ჯდება. კოტეც მაგიდას მიუჯდა. ერთხანს უხმოდ ზის, ისეთი შთაბეჭდილებაც კი იქმნება, თითქოს ჩაეძინაო, მერე თავის აუწყვლად იკითხავს.

რატომ მოკალი დათო?
ლალი (კითხვის ასე დასმას არ მოელოდა და გახევებული მიაჩერდა კოტეს).
რა?

კოტე. რატომ მოკალი დათო?

ლალი. რატომ მოკალი...

კოტე. ჰო, რატომ მოკალი-მეთქი!

ლალი. არ ვიცი.

კოტე. შეუძლებელია არ იცოდე!

ლალი. არ ვიცი-მეთქი!

კოტე. ეგ არ არის პასუხი. ამისხენი, რატომ მოკალი. რისთვის?

ლალი. მე თქვენ ვერაფერს აგისხნით... ვერაფერს გეტყვით.

კოტე. რატომ?

ლალი დუმს.

რატომ-მეთქი!

ლალი. იმიტომ, რომ... მე თვითონ არ ვიცი... იმიტომ, რომ თქვენ ვერ მიმიხვდებით, ვერ გამიგებთ, როცა ჩვენი სიყვარული...

კოტე (თითქმის ზიზღით). სიყვარული... მაგ სიყვარულმა ერთ თვეში ბავშვი ჩასახა და ყველაფერი ჩვეულებრივი გახდა. ჩვეულებრივი კი არა, ჭუჭყიანიც... რით განსხვავდებოდით ატრუებული გოგო-ბიჭებისაგან.

ლალი. ჩვენ სხვანაირად გვიყვარდა ერთმანეთი.

კოტე. და მაგ სხვანაირმა სიყვარულმა მოგცა დათოს მოკვლის უფლება? მიპასუხე – გაძლევდა ეს მისი მოკვლის უფლებას? (დუმილი.) როდის გაიცანი დათო? მიპასუხე, როდის გაიცანი-მეთქი.

ლალი. არ მახსოვს.

კოტე. გაიხსენე!

ლალი. ყველაფერი ექვს თვეში დამთავრდა.

კოტე. ექვს თვეში?

ლალი. კი.

კოტე. გაცნობაც, შეყვარებაც, ფენმძიმობაც, მიკვლაც... ყველაფერი ექვს თვეში?

ლალი. არა, ექვსი თვე არ გაგრძელებულა. ხუთნახევარ თვეში დაიწყო და დამთავრდა.

კოტე. დაიწყო და დამთავრდა კიდევ?

ლალი. კი. ცოტაა?

კოტე. ცოტაა!

ლალი. მე კი მეგონა, მანამდე არც მიცხოვრია ქვეყანაზე, მეგონა...

კოტე. მიზეზი! რატომ მოჰკალი?

ლალი. ყველაფერი უცებ მოხდა. თითქოს ელჭექის დროს მეხი უნდა დამცე-მოდა და მეც გავრბოდი. მეხს გავურბოდი. ვემალებოდი...

კოტე. ეგ პასუხი არ არის!

5.

ლალი. მე სხვას ვერაფერს გეტყვით. მინდა გითხრათ, მაგრამ არ ვიცი, არაფერი არ ვიცი... თოფის ხმაც არ გამიგია...

კოტე. გასაგებად ილაპარაკე. შენ მკვლელი ხარ და ბოდიშობას ვერ დაგიწყებ. დროც არა მაქვს ამდენი.

ლალი. მე არაფერს ვმაღავ.

კოტე. ყველაფერი უნდა გაიხსენო. დინჯად, აუჩქარებლად. როგორ დაიწყო, რა მოხდა.

ლალი. მე ყველაფერი გითხარით.

კოტე. კარგი, დაჯექი. გარეთ ხალხი მელოდება. იქნება მათი დახმარებით მაინც გავერკვე რაც მოხდა.

ლალი. იმათ რა უნდა გითხრან?

კოტე. ზოგჯერ ჩვენზე უკეთ სხვებმა იციან, რა ხდება ჩვენ ირგვლივ.

ლალი. ჩემზე მეტი ვინ უნდა იცოდეს ამ საქმისა. ან, რა უნდა გაიგოთ.

ყველაფერი ცნობილია – მე მოვკალი დათო.

კოტე. გავიგე, ვიცი, რომ მკვლელი ხარ. მაგრამ, რატომ მოჰკალი კაცი, რისთვის? რამ მიგიყვანა აქამდე?

ლალი. მერედა, მაგას რა მნიშვნელობა აქვს? ეგ ჩემთვის რაიმეს შეცვლის?

კოტე (ირონიულად). კი. გავარკვევთ, რომელი პლაჟი უფრო მოგიხდება – ბიჭვინთისა თუ ქობულეთის.

დუმილი, ლალი უძწეოდ მიაჩერდა კოტეს, კოტემ იგრძნო, რომ წაქცეულს დაჰკრა წიხლი და უხერხულობისაგან ერთხანს შეყოვნდა. უხერხულობა ახლა ხმაშიც ეტყობა.

ვინ იყო დათო. რა კაცი იყო? ნუ გიკვირს, შენ ლამაზი გოგო ხარ და არაფერი არის უცნაური იმაში, რომ ბიჭებს მოსწონდი. მართლა უყვარსი დათოს, თუ ყველაფერი თამაში იყო?

ლალი. ვუყვარდი!

კოტე. მე არ მჯერა. ეჭვი მეპარება მის კაიკაცობაში.

ლალი (წამოენთო). მაგას მაინც ნუ მეტყვით... დათო კარგი ბიჭი იყო!

კოტე. და, ამიტომაც მოჰკალი! რას გაჩუმდი, ამიტომ მოჰკალი?

დუმილი. კოტე ოთახში ბოლთას სცემს. მერე მაგიდასთან მივიდა.

ზარი დარეკა, შემოდის თემური.

მანდ ბაინდურაშვილი ზის, შემოვიდეს.

თემური. ახლავე. (გადის.)

ბაადური (შემოვარდება). ძალიან გთხოვთ, ძალიან გთხოვთ დროზე დამკით-ხოთ, მეჩქარება. ყოველი წუთი ოქროა ჩემთვის.

კოტე. თქვენ ვინ ბრძანდებით?

ბაადური. ერგემლიძე, ბაადურ ერგემლიძე. ერთი წუთი არა მაქვს მოცლა. ხომ ხედავთ რა დრეში ვარ!

კოტე. დაიცადეთ. ჯერ ბაინდურაშვილი მჭირდება.

ბაადური (ბუზღუნით). ბაინდურაშვილი, ბაინდურაშვილი! მე კი სული მხდება. ვინ უყურებს იმას, რომ მეჩქარება. (გადის.)

თემურის შემოჰყავს ანეტა ბაინდურაშვილი. ანეტა თბილისელი ქალია და ქალაქური კოლორიტი დაჰკრავს მის ლაპარაკს.

კოტე. აი, აქ დაბრძანდით.

6.

ანეტა. შვილო, ლალი! (მივა. მოეხვევა.)

კოტე. აი, აქ დაბრძანდით. ჩემკენ, ჩემკენ. ლალის ზურგი შეაქციეთ, ეგრე! მაშ, ოთახს აქირავებთ, არა?

ანეტა. ვაქირავებ. ჰო!

კოტე. მერე?

ანეტა. რა მერე?

კოტე. ხალხს ბინები არა ჰყოფნის ქალაქში, თქვენ კი აქირავებთ!

ანეტა. ჩემია და ვაქირავებ. სხვისი ხო მარ არის! მაშ, რა ვქნა, მარტოხელა ქალი ვარ. ქმარი მე არა მყავს და შვილი. ვინ მარჩინოს, ვინ მომიაროს...

კოტე. ლალის კარგად იცნობთ?

ანეტა. კი, ბატონო.

კოტე. მაინც როგორ?

ანეტა. როგორ და, ძალიან კარგად, ანგელოზივით გოგოა.

კოტე. მაგ ანგელოზივით გოგომ რომ კაცი მოკლა?! თანაც თქვენს სახლში!

ანეტა. მერე, მე რას მერჩით, მე ხო მარ მითქვამს მოკალი-თქო.

კოტე. რამდენ ხანს ცხოვრობდნენ თქვენთან?>

ანეტა. ჩემთან... ორივენი თუ...?

კოტე. ორივენი.

ანეტა. ორივენი... ჯერ ორი, არა. თვენახევარი. მერე კიდევ... ასე, სამი კვირა... ორთვენახევარი-სამი თვე.

კოტე. ორთვენახევარი საკმაო დროა. თქვენს ქმარს რა ერქვა?

ანეტა. ჩემი ქმარი აქ რა შუაშია? ჩემი ქმარი ომმა ჩაყლაპა. იქ წევს, კურსკთან.

კოტე. გეკითხებით +- რა ერქვა-მეთქი?

ანეტა. გოგი... გიორგი.

კოტე. როგორ გაჰყევით ცოლად?

ანეტა. ცოლად? მე?

კოტე. ჰო, თქვენ. როგორ გაჰყევით. შუამავლით თუ...

ანეტა. არა შვილო, სიყვარულითა.

კოტე. მაშ, სიყვარულითა?

ანეტა. სიყვარულითა, მაშ, როგორ... შემიყვარდა, შევუყვარდი, ყოველ შაბათ-კვირას ქალაქში კიტრი ჩამქონდა, ხან მწვანელი, ხანაც კარტოფილი! რა მექნა, მამაჩემი დახუთული იყო, დედაჩემი კიდევ მამაჩემს ვერ შორდებოდა, დღე-მუდამ უვლიდა და მე დავდიოდი ქალაქში, დეზერტირის ბაზარში დავდიოდი.

კოტე. გოგი რაღა შუაშია?

ანეტა. იმ შუაშია, რომა, შოფერი იყო. მთელი ჩვენი სოფელი ქალაქში დადიოდა სავაჭროდა... მაშინ აქ სოფელი გქონდა. თბილისი სად იყო, მერე დაიწყეს შენება და ჩვენი სოფელიც თბილისში მოექცა...იმას იქით წახდა ყველაფერი, თორემა... ხოდა, მთელი სოფელი გოგის დაჰყავდა ქალაქში თავისი გრუზავიკითა. მეც იმას მივდევი ხოლმე და... შეგვიყვარდა ერთმანეთი.

კოტე. მაშ, სიყვარულით გაჰყვევით?

ანეტა. ვინ გაგაყოლა, თორემა... მამაჩემმა ქვეყანა დაისია თავზე. ქალიც შენა ხარ ჩვენთვის და კაციცაო, არა ჰქნა და გავიპარენით.

კოტე. ესე იგი, სიყვარულით გაჰყვევით?

ანეტა. კი არ გაგყვევი, გავიპარენით. მერე ისევ მოვბრუნდით. გოგი არ შერებოდა. ოჯახში ზედსიძედ როგორ შევალო, მე მაინც ჩემი გავიტანე, მერე კიდემა...

კოტე. გავიგე. საკმარისია. მაშ, თქვენ იცით, რაც არის სიყვარული.

ანეტა. ვიცი რომელია! ეგ რომ ვიცოდი ამიტომაც...

7.

კოტე. მაცალეთ... როგორა გგონიათ. დაფიქრდით და ისე მიპასუხეთ, კარგად დაფიქრდით...

ანეტა. ჰო, თქვი, შვილო!

კოტე. უყვარდა დათოს ლალი?

ანეტა. რაო?

კოტე. დათოს ლალი ნამდვილად უყვარდა თუ...

ანეტა. ნამდვილად, ჩემმა მზემ, ნამდვილად! აი, ახლა გითხრა – ერთიც ვნახოთ და, ეს ჩვენი დათო სულ გამოიცვალა. სულ კარგ ხასიათზე იყო. შინ მოვარდებოდა, შეჭამდა, წიგნებს ჩაუჯდებოდა და მეცადინეობდა, მერე გავარდებოდა. სად გარბინარ ყოველ საღამოს-მეტქი, და მერე გეტყვი მერე გეტყვიო, მეუბნებოდა. გამიგე, შვილო?

კოტე. ჰო, მერე?

ანეტა. მერე? ერთ დღეს მოვარდა, ხელში ამიტაცა და მეუბნება, ცოლი უნდა შევირტო, ქალი მომყავსო. რა ცოლი, შვილო-მეთქი, შენმა მშობლებმა შენი თავი აგრე და აგრე ჩამაბარეს და ჭკუით იყავი-მეთქი.

კოტე. მშობლები ჩამოდიოდნენ?

ანეტა. კი. მოდიოდნენ, ფულს მიტოვებდნენ. ბიჭს საჭმელ-სასმელი არ მოაკლდესო, თავს დასტრიალებდნენ იმ უბედურსა.

კოტე. მაშ, თქვენ ამბობთ, რომ დათოს ლალი უყვარდა?

ანეტა. აი, ახლა ერთ რამეს გეტყვი და თვითონვე მიხვდები, უყვარდა თუ არა.

ნადირობას იყო გადაყოლილი, ყოველ შაბათ საღამოს წაავლებდა ჩემი ქმრის ძველ თოფს ხელსა და გავარდებოდა... აი, მაგ საოხრე თოფსა, სწორედ მაგ თოფით უყვარდა ნადირობა. ისე მიეჩვია, მეც ავდექი და ვაჩუიქე, ჩემი ქმრის ნაქონი

მშვიდობაში მოგახმაროს-მეთქი. სიხარულით ცას ეწია. არ იშორებდა, მაგრამ იმ დღიდან, რა დღესაც ეგ გოგო გაიცნო, ფეხი არ გაუდგამს სანა-დირით. აღარც ეს თოფი გახსენებია, ეგრე უქმად ეკიდა კედელზე... სულ ამ გოგოსკენ ჰქონდა თვალი და ყური. ერთ დღესაც მოიყვანა და გამოძიხნა: აი, ეს ჩემი ცოლი იქნებაო. როგორ ცოლი, რანაირად-მეთქი! როგორ და, ჩვეუ-ლებრივადო. ჩვენში ცოლის მოყვანა ეგრე არ არის-მეთქი, და ყველაფერი იქნებაო. აღარც გაუშვა ეგ ანგელოზივით გოგო. ეგ იყო და ეგა! არ მომეწონა ეს საქმე. გათენდა თუ არა, წერილი ვაფრინე ქუთაისში. ასეთი და ისეთი ამბავია, და ჩამოდით, შვილს მიხედეთ-მეთქი. გავიდა ერთი კვირა, ათი დღე, ორი კვირა. შენც არ მომიკვდე. მეორე წერილი ვაფრინე. ერთი თვე ისე გაილია, კაცს ამბავი არ უკუთხავს. გამიკვირდა, ეს ერთი შვილი ჰყავთ, ამაზე ამოსდით მზე და მთვარე და ასეთირაძე რომ გაიგეს, როგორ არ აფორიაქდნენ-მეთქი. მეტად აღარ შევხმიაწებივარ. რა თავი მტკიოდა.

კოტე. რატომ არ ჩამოვიდნენ?

ანეტა. აბა, რა ვიცი. მერე მე აღარაფერი მიკითხავს და იმთაც აღარა უთქვამთ რა!

კოტე (ლალის). შენ თუ იცი რატომ არ ჩამოვიდნენ?

ლალი. ბატონმა ბიძინამ ვერ მოახერხა.

კოტე. დათოს მამამ?

ლალი. დიახ.

კოტე. რატომ?

ლალი. სადღაც დიდ თანამდებობაზე მუშაობდა. იმ დროს სამსახურში არეუ-ლობა ჰქონიათ. ბევრი დაუჭერიათ კიდევ.

კოტე. რით დამთავრდა ეგ ამბავი?

ლალი. კარგად, მისთვის კარგად დამთავრდა.

8.

კოტე (ანეტას). მერე?

ანეტა. რა, მერე. მერე რაღა?

კოტე. მერე რა მოხდა-მეთქი?

ანეტა. ჰო, ამასობაში დრო გავიდა, ესენი აქ მტრედებივით ღულუნებდნენ ერთმანეთში. დათოს ვუთხარი: ეგ ამბავი მე არ მომწონს და წადით ჩემი სახ-ლიდან-მეთქი. შენ რას გიშავებთ, დეიდა ანეტა. თუ შენი სახლიდან წავალთ, სხვაგან დავიქირავებთ ბინას, მაგით რა შეიცვლებაო, მითხრა. მეც აღარ ავუ-ხირდი, განა ეგრე იოლი საშოვნელია მდგმურები, ახლა ყველას ასაბნიაკების დაქირავება უნდა. ამიტომაც დავტოვე, შვილო, აღარ გავუძალიანდი.

კოტე. მაშ შენ ამბობ, რომ დათოს ლალი ნამდვილად უყვარდა?

ანეტა. ისე მე შემეყვაროს ღმერთმა!

კოტე. დათოს მშობლები როდის ჩამოვიდნენ?

ანეტა. მამა ჩამოვიდა.

კოტე. მერე რაო?

ანეტა. ჩამოვიდა და, რა ჩამოვიდა! ცეცხლი, რკინა, ქვა!

კოტე. ასეთი რა ქნა?

ანეტა. არა, მე არა, შვილო! მე იმას როგორ დავენახვებოდი. ჭიშკართან რომ მანქანა გაჩერდა და იმის სახეს შევხედე, ეზოდან გავიპარე. იქაურობას მოვცილდი.

კოტე. რატომ?

ანეტა. ოო, მაგარი კაცია. შემეშინდა.

კოტე. ლალი, შენ თუ ნახე დათოს მამა?

ლალი. ვნახე.

კოტე. რაზე ისაუბრეთ?

ლალი. ძალიან თავაზიანად მელაპარაკა, ნიკაპზე ხელი მომისვა, კარგი გოგო ხარო მითხრა. მაგრამ...

კოტე. რა მაგრამ?

ლალი. ეს ამბავი, რომ სხვანაირად შეტრიალდეს, მაშინ რაღას შერებიო, ღიმილით მითხრა. თავს მოვიკლავ-მეთქი. ეგ როგორ გეკადრება. აბა, ეგ რა ლაპარაკია, იქნებ დათოს საცოლევც ჰყავს. ასე როგორ ენდებო. თავს მოვიკლავ-მეთქი, გაგუმეორე. მერე სახე მოედრებლა, ხელი გადამხვია და სულ სხვა ტონით მითხრა: დათოს ნუ ენდობი, ეგ ისეთი ბიჭი არ არის, შენ რომ გგონია, ისა სჯობია, დროულად მიხედო თავსაო.

კოტე. რაო, რა გითხრა? გაიმეორე!

ლალი. დათოს ნუ ენდობი, ეგ ისეთი ბიჭი არ არის, შენ რომ გგონია, ისა სჯობს, დროულად მიხედო თავსაო.

კოტე. კიდევ? მეტი არაფერი უთქვამს?

ლალი. არაფერი. ალერსიანად დამემშვიდობა და წავიდა.

კოტე. სად?

ლალი. ქუთაისში. დათოც თან წაიყვანა.

კოტე. გასაგებია... (მცირე პაუზის შემდეგ.) დათომ რა დაგიბარა?

ლალი. ისე წავიდა, სიტყვაც არ დაუძრავს.

კოტე. სულ არაფერი გითხრა?

ლალი. მამამისი რომ გამოჩნდა, სულ შეიცვალა. ძალიან ეშინოდა მამის. ერთხელაც არ გაღიმებია. ისე წავიდა, უკან არ მოუხედავს, შვიდი-რვა ღლის მერე დეიდა ანეტას წერილი მოუვიდა, დათოს დედა წერდა.

კოტე. ქალბატონო ანეტა, რას გწერდათ დათოს დედა?

ანეტა. რას მწერდა?

9.

კოტე. ჰო, რას გწერდათ, რა მინდაო?

ანეტა. ახლავე შვილო, ახლავე. (გამოდის ავანსცენაზე, ჯიბიდან იღებს წერილს და კითხულობს.) „ანეტა! შვილმა მიმტყუნა. სასწავლებლად გამოუშვი, წესიერ ხალხში გაერიე, აქედანვე მიხედე ცხოვრებას-მეთქი, მაგრამ კარგად მოგეხსენება, რაც შენს სახლში მოხდა. ამიტომ უარს ვამბობ შვილის სწავლაზე. თუ ბიჭი თბილისში დავტოვე, ის გაოხრებული არ დაეხსნება და ბიჭი გამიუბედურდება. ოთახი ვისაც გინდოდეს, იმას მიაქირავე, ჩვენ აღარ გვჭირდება.“

გიგზავნი გასული თვის ფულს. ამ თვისა თორმეტი ღლის გერგება, თხუთმეტი ღლისას გიხდი.

თინა ჩიგოგიძე.“

თხუთმეტი ღლისას გიხდი... თორმეტის გერგება, მე თხუთმეტისას გიხდიო... ძალიან ხელგაშლილები ხართ, მაგრამა... ეს რა მეხი დამეცა თავსა... იმ გოგოს რა ვუთხრა, იმ გოგოს რა პასუხი გავცე! უბედური... უბედური!

ლალი. რა არისე გ, დეიდა ანეტა. რას კითხულობ ასე ჩაცვიებით?

ანეტა. არაფერი, შვილო არაფერი!

ლალი. „ტრისტანი და იზოლდა“ ხო მარ მოგიტანეს?

ანეტა. „ტრისტანი და იზოლდა“ კი არა, შავი ქვა და ღოზანა!

ლალი. აბა, რა არის, გამაგებინე!

ანეტა. არაფერი-მეთქი, ხომ გითხარი, ისეთი არაფერი...

ლალი. თუ არაფერია, რატომ მიმაღავ?

ანეტა. ისე შვილო, დასამალი რა მაქვს.

ლალი (სახე გაუბრწყინდა). აა, მივხვდი. დათოს წერილია.

ანეტა. რა წერილიო...

ლალი. დათოს წერილი მოვიდა, ხომ?.. გინდოდათ უცებ გეხარებინათ, მაგრამ არ გამოვიდა... მივხვდი, ყველაფერს მივხვდი...

ანეტა. არ არის დათოს წერილი... (გასვლა უნდა.)

ლალი. არ გაგიშვებთ, არ გაგიშვებთ... ვიცი, რაც არის, ვიცი... (დაედევნა, მოეხვია.) მომეცით რა, მომეცით, რატომ მაწამებთ? ხომ იცით, როგორ ველოდები მაგ წერილს.

ანეტა. არ არის-მეთქი გოგო, წერილი, ნუ ხარ გიჟი ი!

ლალი (სინარულმა აიტაცა). არის, არის! აბა, მაჩვენეთ! მომეცით! დაიხევა, რას შერებვით!

ანეტა. დაიხეს და დაიფხრიწოს, ძალიან კარგი!

ლალი (წაართვა). აჰა, ესეც ასე! (სულმოუთქმელად კითხულობს.)

ანეტა (კუთხეში მიდგა. თითქოს დაილიაო ქალი). ნუ, შვილო, ნუ, არ გინდა, ნუ წაიკითხავ... ღმერთო, ღმერთო!.. ღმერთო, შენ მიშვცელე. (პირჯვარს იწერს.)

ლალი. რაო?!.. ანეტა დეიდა. რა არისე ს? (კვლავ კითხულობს.) „...თუ ბიჭი თბილისში დავტოვე, ის გაოხრებული არ დაეხსნება და ბიჭი გამიუბედურ-დება...“

ანეტა დეიდა, ამიხსენი... ვერაფერი გავიგე... ეს რანაირი წერილია!

ანეტა. არა-მეთქი, ხომ გეხვეწებოდი, შვილო...ნუ წაიკითხავ, არ გინდა-მეთქი...

ლალი (თავი ანეტას მკერდში ჩარგო). ანეტა დეიდა, მიშველე რამე, მიშველე! ანეტა დეიდა. რა არის ეს, დათო აღარ ჩამოვაო. ის გაოხრებული არ დაეხს-ნებაო, მიშველე, დეიდა ანეტა!..

ანეტა. ღმერთია შენი მშველელი, შვილო... ძალაღი ღმერთი... ყველაფერი კარგად იქნება, შენ ნუ ინალვლებ... მოვლენ ჭკუაზე, ეგენიც მიხვდებიან. (კოტეს მიუბრუნდა.) მთელი დამე თვალზე ცრემლი არ შემრობია, შემეშინდა ხელში არ შემომადნეს ეს გოგო-მეთქი... გათენდა. ჩემოდანი ჩაალაგა და პირიც არ დაუბანია,

10.

ისე გავარდა... რამდენი არ ვეხვეწე, ნუ წახვალ, ერთად ვიყოთ-მეთქი და, არაფრით არ ჰქნა... დათო არმ ოვა და მე რალა მინდაო...

კოტე (ლალის). სად წახვედი?

ლალი. ბათუმში, დედასთან. ჩავედი და ყველაფერი გუამბე. დიდხანს მაინც ვერ გავჩერდი, ისევ თბილისში წამოვედი, დათო...

კოტე. რა დათო?

ლალი. არაფერი. დამანებეთ თავი. არ შემიძლია.

კოტე. რა, დათო? დაგირეკა? წერილი მოგწერა? ბათუმში ჩამოვიდა?

ლალი. არა, არ შემიძლია უმისობა... ვერ ვძლებდი. რა მექნა...

კოტე. კი, მაგრამ დათო ხომ ქუთაისში იყო?

ლალი. ჩამოსულა, ინსტიტუტში მივაკითხე.

კოტე (ანეტას). როდის ჩამოვიდა?

ანეტა. იმ წერილის მოსვლის მესამე დღეს ვიღაც ქალი მომადგა. ლალის ეძებდა. აქ ცხოვრობს თუ არაო. აღარ ცხოვრობს, ოთახი დაცალა-მეთქი, ვუთხარი. გათენდა და დათოც მოვიდა.

კოტე. ის ქალი ვინ იყო?

ანეტა. არ ვიცი, შვილო, არც მიკითხავს.

კოტე. მერე აღარ გამოჩენილა?

ანეტა. არა, მაგრამ ახლა ვხვდები – თინას უნდა გამოეგზავნა.

კოტე. მაშ, დათო მეორე დღეს ჩამოვიდა?

ანეტა. სწორედ მაგიტომ მგონია, რომ ის ქალი თინას გამოგზავნილი იყო.

კარგად მახსოვს ჩამოვფრინდიო, ასე თქვა, მოწყენილი იყო ძალიან. დედამისი ჩამოყვა.

კოტე (ლალის). მერე? დათოს ხომ გაუხარდა შენი ნახვა. რაო, რა გითხრა?

ლალი. ინსტიტუტში ვერ მივუსწარი. რაღაც ხუთი წუთით გამასწრო. მე უმისობა არ შემიძლო. არ შემიძლო და, გავეკიდე. რა მექნა, სად წავსულიყავი. ქვეყანაზე იმის მეტი არავინ არსებობდა. სახლში რომ მივედი, დეიდა ანეტამ მითხრა – შინ არ არის, არ მოსულაო.

კოტე. ქალბატონო ანეტა, გახსოვთ?

ანეტა. მართალს ამბობს, შვილო.

კოტე. დათო სახლში არ მოსულა?

ანეტა. როგორ არა! ლალი მოვიდაო, რომ გაიგო, ერთი პირობა გამოსვლაც კი დააპირა, მაგრამ თინა იქვე იყო, მიბრძანა იმ გათახსირებულს უთხარი, დათო შინ არ არისო. მეც ასე მოვიქეცი.

კოტე. ლალი მოატყუეთ?

ანეტა. რა მექნა, თინა თავზე მადგა.

კოტე. დაბრძანდით.

ანეტა. ერთ რამესაც გეტყვით.

კოტე. ბრძანეთ.

ანეტა. ლალი რონ წავიდა, შინ შევბრუნდი. შევბრუნდი და, ყურს არ დაუჯე-რე, ისეთი ღრიალი ისმოდა დათოს ოთახიდან. გავედი. ტახტზე იწვა და ტიროდა, ამხელა ბიჭი ცხარედ მოსთქვამდა. გული დამეთუთქა, შვილო, გული! ვგრძნობდი, აქ ცოდვა დატრიალდებოდა. იქით კიდევ თინა იძახდა მიშველეთ, გული, გულიო! ავადმყოფი დედის მოკვლა უნდა ჩემს შვილსაო.

კოტე. ლალი, განაგრძე!

ლალი. მეორე დღეს ბაადურ ერგემლიძემ გამომიძახა.

კოტე (ზარს რეკავს. შემოდის თემური). შემოვიდეს ბაადურ ერგემლიძე!

თემური გადის.

ბაადური (შემოდის ფაცი-ფუცით, აჩქარებული ნაბიჯით). როგორც იქნა გამომიძახეთ, მაგვიანდება, ვიწვი, გეგმა მივარდება. აი, იმ სახლს უყურებთ? ორ თვეში უნდა ჩავაბარო. 160 ოჯახს გავაბედნიერებ, 160 ოჯახს! ამაზე უკეთესი რა იქნება?

კოტე. აი, აქ, დაბრძანდით.

ბაადური (ლალი დაინახა). რად უნდა ამას გასამართლება, რად უნდა ამას დაკითხვა, ახლავე ამოვხადოთ სული ამ კაცისმკვლელს, ახლავე.

კოტე. აქეთ დაჯექით!

ბაადური. არ შემიძლია, კოტე ბატონო! ასე კაცის მოკვლა იქნება? კატა ხომ არ იყო. ადამიანი იყო, ბოლოსდაბოლოს, ახალგაზრდა კაცი!

კოტე. დაბრძანდით-მეთქი!

ამ პატარა ინცინდენტს ლალიზე არავითარი შთაბეჭდილება არ მოუხდენია, ეს არის, რომ წამოდგა, გაიარ-გამოიარა. კოტე თვალს აყოლებს, როგორც ჩანს, ელოდება როდის დაჯდება ლალი. ლალიმაც იგრძნო ეს და კვლავ თავის ადგილს დაუბრუნდა.

კოტე. რა იცით ამ საქმის ირგვლივ?

ბაადური. ბევრი არაფერი.

კოტე. ადრე თუ იცნობდით დათო ჩიგოგიძეს?

ბაადური. არა!

კოტე. ლალის?

ბაადური. ჩვენთან სამუშაოდ რომ მოვიდა, მაშინ გავიცანი. აღმრიცხველად მივიღეთ. ეს არის და ეს!

კოტე. რამდენი ხანია მაგ მშენებლობაზე მუშაობთ?

ბაადური. მალე ოთხი წელი გახდება.

კოტე. მაშ, თქვენ ამბობთ, რომ ჩიგოგიძეებთან არავითარი ნაცნობობა არ გქონიათ?

ბაადური. არავითარი.

კოტე. ლალი სად გამოიძახეთ?

ბაადური. ობიექტზე ვიყავი და იქ გამოვიძახე. (ლალის ალერსით, თბილად.) ლალი, მოდი, შვილო, მოდი ჩემთან.

ლალი. გისმენთ, ბატონო ბაადურ.

ბაადური. უცნაური გოგო ხარ, მე და ჩემმა ღმერთმა! მართლა უცნაური გოგო ხარ.

ლალი. მოხდა რამე?

ბაადური (სიცილით). უყურე ახლა ამას... მთელი კვირა სამსახურში არ გამოცხადებულა და მეკითხება, მოხდა რამეო?

ბათუმში ვიყავი, დედაჩემთან წავედი.

ბაადური. ეგ ძალიან კარგი, დედა მოგენატრა და წახვედი. დედა უნდა გიყვარდეს, მაგრამ...

ლალი. რაღაც ცუდი უნდა მითხრათ...

ბაადური. არა, ისეთი არაფერეი... მაგრამ... საქმე იმაშია, სამუშაოს მოცულობა შეგვიმცირეს და ხომ იცი, ამას ხალხის შემცირებაც...

ლალი. სამსახურიდან მისტუმრებთ?

ბაადური. მაცალე! ნუ ჩქარობ... მაგრამ... მე სხვა გზა არა მაქვს, უნდა გაგან-

თავისუფლო...

ლალი. თუ არ ვიმუშავე, ვერ ვიცხოვრებ, ბატონო ბაადურ, არ შემიძლია...

ბაადური. რაღაცას მოვახერხებ, ამხანაგებს შევეხვეწევი, მეგობრებს... სადმე მოგაწყობ... შენ ნუ იდარდებ...

კოტე (ბაადურს). და მოხსენით?

ბაადური. გავანთავისუფლე...

კოტე. ლალი, შენ+ არ დაიცავი თავი? არ შეეცადე, რომ...

ლალი. არა.

კოტე. რატომ?

ლალი. ვიგრძენი, რომ ტყუოდა, არავითარი შემცირება არ ყოფილა. მივხვდი, ჩემი თავიდან მოცილება უნდოდა და არ შევეხვეწე.

კოტე. კი, მაგრამ, როგორ... ერგემლიძე ასე თავაზიანად, მამაშვილურად გელაპარაკა და...

ლალი. თავაზიანად... თავაზიანად აქ ლაპარაკობს... იქ უნდსა გენახათ...

კოტე (ლალის). ყველაფერი კარგად გაიხსენე... ყველაფერი...

მეორდება წინა მიზანსცენა.

ლალი. რა მოხდა. ბატონო ბაადურ!

ბაადური (ყვირილით, ნერვიულად). შენ აქ ბულვარი ხო მარ გგონია? ან იქნება იმას ფიქრობ, რომ სასეირნოდ ვართ ყველანი შეკრებილნი.

ლალი. რა მოხდა, ბატონო ბაადურ, გამაგებინეთ!

ბაადური. ერთი ეს მითხარი – რას აკეთებ შე აქ?

ლალი. სად, აქ?

ბაადური. სად და, ბულვარში – მშენებლობაზე გეკითხები.

ლალი. აღმრიცხველი ვარ.

ბაადური. მერე?

ლალი. რა მერე, ბატონო ბაადურ?

ბაადური. შენს მაგივრად მე ვიმუშავებ? შენი საქმე სხვამ გააკეთოს?

ლალი. მაგას რატომ მეუბნებით, ადრე ძალიან მაქებდით, მოწინავე ხარო...

ბაადური. მოწინავე! სამსახურში ახალ მთვარესავით გამოჩნდები ხოლმე. ასე გინდა ცხოვრება?

ლალი. რატომ ახალ მთვარესავით, ბატონო ბაადურ?

ბაადური. კიდევ აქეთ მეკითხება! ამ ბოლო დროს სამსახურს აცდენ, სადღაც დაიკარგები ხოლმე. ეგ არ იკმარე და მთელი კვირა არ გამოცხადდი, საქმე ჩამივარდა.

ლალი. ბათუმში ვიყავი...

ბაადური. შენ იქ პლაჟზე იკოტრილო და მე გეგმა კისერზე დამაწვეს, ხომ?!

ლალი. რა დროს პლაჟია ჯერ, ბატონო ბაადურ, დედასთან ვიყავი.

ბაადური. არ ვიცი მე შენი ბათუმი და დედა!

ლალი. მიჭირდა და იმიტომ წავედი. რა მექნა!

ბაადური. შენი გაჭირვება მე არ მეკითხება. მე მუშახელი მინდა.

ლალი. ჩემზე არასოდეს უთქვამთ, ზარმაციაო.

ბაადური. ვის რა უთქვამს, მე არ ვიცი. სამსახურის უმიზეზოდ გაცდენისა-თვის...

ლალი. ნანის ხომ უშვებთ ხოლმე სოფელში, იამზე სულაც არ ცხადდება, მარტო ხელფასს...

ბაადური. შენ მე აქ აღმრიცხველად მყავხარ, თუ გამომძიებლად! ადრე უნდა გამეგდე აქედან. ერთი ამას უყურეთ, რაებს ბედავს.

ლალი. ასეთი რა დაგიშავეთ?

ბაადური. სქამსახურის სისტემატური გაცდენისათვის განთავისუფლებული ხარ სამსახურიდან. მეყო სტაჟის მიუხედავად ხალხის ლოლიავი!

კოტე. და მოხსენით?

ბაადური. გავანთავისუფლე. აბა, რას ვიზამდი.

კოტე. როგორ, ასე, საკუთარ ნებაზე...

ბაადური. აღმრიცხველი მთელი კვირა არ გამოცხადდა მშენებლობაზე, საქმე ჩავარდა...

კოტე. კი, მაგრამ...

ბაადური. რა უფლება მაქვს ხელი დავაფარო გამცდენს. მშენებლობა ცემი პირადი მეურნეობა ხო მარ არის, სახელმწიფოს სამსახურში ვდგავარ მე.

კოტე. კარგით, დაბრძანდით. ლალი, შენ როგორ შეეგუე ამ ამბავს?

ლალი. მაგაზე აღარც მიფიქრია.

კოტე. მაშ, ქუჩაში გაგაგდეს?

ლალი. მე ველარაფერს ვგრძნობდი. დათო აღარ მეკარებოდა და, ჩემთვის აღარაფერი არსებობდა. ორ დღეში უბნის რწმუნებული მომადგა.

კოტე. უბნის რწმუნებულს რაღა უნდოდა?

ლალი. აქ აღარ მუშაობ და დრესვე დატოვე ქალაქიო.

კოტე. ბაადურ, ესეც თქვენ?

ბაადური. თბილისი საპასპორტო რეჟიმის ქალაქია. ეს ყველამ უნდა იცოდეს.

კოტე. კი, მაგრამ, რა უფლებით განაგებდით ამ ადამიანის ბედს ასე!

ბაადური. მე ვმოქმედებდი მხოლოდ ისე, როგორც კანონი მკარნახობდა. აღმრიცხველი ერთი კვირა არ გამოცხადდა სამსახურში. რა უფლების ძალით გავაჩერებდი. რატომ? იმიტომ, რომ უმაღლესში შესასვლელად საჭირო სტაჟი დააგროვოს? არა, მე ქვეყანას ვერ მოვატყუებდი და გავანთავისუფლე. ჩვენ კი მუშახელი გვაკლია. არ მოდის, ბატონო, ახალგაზრდობა მშენებლობაზე.

ყველას უცებ უნდა ბევრი ფული და კარგი ცხოვრება. ოღონდ ვინმე გამოჩნდეს და ქალაქში ჩაწერის უფლებასაც გვაძლევენ. ასე მივიღეთ ლალი. მუშაობდა და უმაღლესში შესასვლელად ემზადებოდა. მერე გავანთავისუფლე, ჩვენი მშენებლობის ლიმიტის ანგარიშში ქალაქში გაწერილი უნდა ყოფილიყო ადამიანი, რომელსაც აღარაფერი საერთო აღარ ჰქონდა მშენებლობასთან? რატომ უნდა ჩამედინა ასეთი სიყალბე? ეს ხომ დანასაუღლია. მე ვერ მოვატყუე ქვეყანა და თქვენ ეს უკანონოდ მიგაჩნიათ?

კოტე. უკანონობა... ეგ კანონები ადამიანებისთვის არის დაწერილი. დაბრძანდით! (ლალის.) მერე როგორღა სეზვდი დათოს?

ლალი. თემურიმ მოიყვანა ჩემთან.

კოტე. ტემური ვინ არის?

ლალი. თემური გვანახარია... აქ რომ ზედამხედველად მუშაობს.

კოტემ ზარი დარეკა. შემოდის თემური.

კოტე. თურმე შენც გცოდნია ეს საქმე, რატომ არ მითხარი?

თემური. მე ნურაფერს მკითხავთ, ბატონო კოტე. ძალიან გთხოვთ, ნურაფერს მკითხავთ.

კოტე. არ მესმის შენი საქციელი.

თემური. არ შემიძლია, არ შემიძლია და, რა ვქნა!

კოტე. რა არ შეგიძლია, გამაგებინე ბოლოს და ბოლოს!

თემური. ამ საკითხზე ლაპარაკი არ შემიძლია.

კოტე (ცოტა დაბნეული). კი, მაგრამ... რა ხდება აქ... რა არ შეგიძლია, ამიხსენი...
ლალი. მას მართლა გაუჭირდება ამ საკითხზე ლაპარაკი.

კოტე. რატომ-მეთქი!

ლალი. იმიტომ, რომ...

კოტე. მოიცა, მოიცა! (ხან ლალის შესქერის, ხან თემურის. გააოცა აზრმა, რომელმაც ამ წუთში თავში გაუელვა.) არა, შეუძლებელია! შეუძლებელია... კი, მაგრამ... ქალი გიყვარდა და... გამაგებინე, ასე იოლად დასთმე შენი სიყვა-რული?

თემური (ხანგრძლივი დუმილი). მე და დათო ამხანაგები ვიყავით, ქუთაისიდან ერთად ჩამოვედით. ერთ დღეს მე და ლალი კინოში მივდიოდით... იმ სეანსზე რომ ბილეთი მეშოვნა, ვერც გაიცნობდნენ ერთმანეთს და ვინ იცის...

კოტე (ოთახში დააბიჯებს. თითქოს ხმაც შეეცვალა). შენ მგონი, იურულიულზე სწავლობ.

თემური. კი, დაუსწრებელზე.

კოტე. ესე იგი, შენ იცი, რაც მაინტერესებს... რა შეგიძლია კონკრეტულად მითხრა დათოზე... შენ ამბობ, რომ ამხანაგები იყავით, ქუთაისიდან ერთად ჩამოხვედით სასწავლებლად...

თემური. დიას.

კოტე. მან თუ იცოდა, შენ რომ ლალი გიყვარდა?

თემური. იცოდა, მაგრამ ლალის რომ არ ვუყვარდი, ესეც იცოდა... ამას გარდა, რაც ერთმანეთი გაიცნეს, სულ გამოიცვალნენ. აღარავინ და აღარაფერი ახსოვ-დათ ამ ქვეყანაზე.

კოტე. გულახდილად თუ საუბრობდით ხოლმე?

თემური. კი.

კოტე. რაზე საუბრობდით?

თემური. რა ვიცი... ყველაფერზე.

კოტე. მაინც? უფრო მეტად?

თემური. კინო უყვარდა ძალიან.

კოტე. კინო? კინო ეგ არაფერი. შენ ეს მითხარი – აი გოგოებზე თუ ლაპარაკობდა ხოლმე?

თემური. კი, ძალიან ხშირად.

კოტე. ხშირად?!

თემური. დიას! ქუთაისში ვიღაც-ვიღაცებთან დადიოდა, ხშირად იცვლიდა.

კოტე. კარგად ამიხსენე – ხშირად იცვლიდა თუ?..

თემური. კი, ხშირად იცვლიდა.

კოტე. ვინ იყვნენ ის გოგოები, რას წარმოადგენდნენ მისთვის?

თემური. ძალიან ზერე ურთიერთობები ჰქონდა, ჩვენმა ბიჭებმა იციან ასე – ერთი-ორი კვირით შეყვარება.

კოტე (ლალის მიუთითებს). ალბათ, ესეც ასე იყო!

თემური. ლალი? არა!

კოტე. როგორ, თუ თითო-ორ კვირიან სიყვარულს იყო ნაჩვევი, ახლა რამ შეცვალა?

თემური. არ ვიცი... ვერ გეტყვით... ის კი ვიცი, რომ ლალი ნამდვილად უყვარდა.

კოტე. ასე დაბეჯითებით რატომ ლაპარაკობ?

თემური. მწამს, რომ ასე იყო.

კოტე. ეგ ბევრს არაფერს ნიშნავს... ღიას... არაფერს... მაგრამ თუ ასეა, რატომ აქცია ზურგი ლალის მას შემდეგ, რაც ამდენი ხანი სახლში ჰყავდა. მობეზ-რდა? ჟინი მოიკლა?
თემური. არა!

15.

კოტე. აბა, რით ავსხნათ ის, რომ ამ დღეში ჩააგდო საყვარელი ქალი?
თემური. დათო რომ ქუთაისში წაიყვანა მამამისმა, უკან აღარ აბრუნებდნენ, ინსტიტუტში ერთ წელს დაგაკარგვინებთ და იმ გოგოს არ გაგაკარებთო. დათო იტანჯებოდა, მშობლებს ვერაფერს ეუბნებოდა, არ ჰქონდა ამდენი ძალა, ლალის დაკარგვაც არ შეეძლო. ერთმანეთს დაუპირისპირდნენ ლალი და მშობლები. ვერარ ავიტანე ეს ამბავი და ქუთაისში წავედი.
კოტე. ქუთაისში რა გინდოდა?
თემური. დათოს დედასთან მივედი. ქალბატონ თინასთან. ვიცოდი, თუ იმას დავიყოლიებდი, ყველაფერი მოგვარდებოდა.

ავანსცენა.

თინა. ვინ გამოგვზავნა ჩემთან?
თემური. არავინ.
თინა. დათომ გთხოვა?
თემური. არა, თვითონ მოვედი.
თინა. იმ ქალბატონმა მოგაგზავნა?
თემური. თვითონ მოვედი-მეთქი, ხომ გითხარით.
თინა. შენ ჩემთან მოსვლას ვერ გაბედავდი.
თემური. გავბედე.
თინა (თემურს ხელი მოხვია). შვილო, თემურ, შენ დათოს ამხანაგი ხარ, ჩვენს ოჯახს კარგად იცნობ და ამდენს კი უნდა ხვდებოდე.
თემური. მაინც?
თინა. უნდა ხვდებოდე, რომ ის გოგო ჩვენი ოჯახის საკადრისი არ არის. არ არის საჩვენო გოგო...
თემური. თინა დეიდა...
თინა. ჰო, მითხარი, მითხარი რა გინდა...
თემური. იცით, რა...
თინა. თქვი... ნუ გერიდება, ჩვენ ხომ ახლობლები ვართ.
თემური. ის გოგო ძალიან კარგი გოგოა...
თინა. რა თქვი?
თემური. ნუ გიკვირთ, ლალი ძალიან კარგი გოგოა.
თინა (მშვიდად, ალერსით). ჰო, იყოს კარგი გოგო, იყოს, მაგრამ ჩვენთვის არ არის... შენ, როგორც დათოს ამხანაგს, გთხოვ დაგვეხმარო, დროულად ჩამოშორდეს დათოს, დაანებოს თავი, შენ ხომ დათოსთვის კარგი გინდა.
თემური. უყვარს.
თინა. ვის?
თემური. ლალის. ლალის ძალიან უყვარს.
თინა. ეგ არაფერი, გაუვლის... რა მოხდა მერე, ვისაც ვინ უყვარს, ყველა მასზე კი არე ქორწინდება... მაგას ყურადღებას ნუ მიაქცევ, გაუვლის... ორივეს გაუვლის...
თემური. ლალი იტანჯება.

თინა. ხომ გითხარი – მალე გაუვლის-მეთქი, დაავიწყდება... ასე! წადი ახლა და... დაგვეხმარე, დროზე ჩამოშორდნენ ერთმანეთს. აბა, კარგად იყავი, ნახვამდის... ასე ჩააგონე იმ გოგოს და ყველაფერი რიგზე იქნება. თქვენები მომიკითხე.

თემური (მიდის). კარგად იყავით.

თინა. მამაშენს უთხარი, რომ ბიძინა ამ დღეებში გაუკეთებს იმ საქმეს, გულს არ დავწყვეტო, პატიოსანი კაცია მამაშენი.

თემური. თინა დეიდა...

16.

თინა. რა გინდა?

თემური. იცით, რა?

თინა. მითხარი, ნუ გერიდება!

თემური. მე ის მიკვირს... მე ის ვერ გამიგია... აი, სულ ვფიქრობ და ვერაფრით ვერ მოვნახე პასუხი ამ კითხვაზე.

თინა (ცივად, გამყინავი მზერით). რა კითხვაზე?

თემური. რატომ გინდათ, ცხოვრება აურიოთ დათოს?

დუმილი. თინამ და თემურიმ ლამის თვალებით შეჭამონ ერთმანეთი. მერე თინა თემურის მიუახლოვდება, ნიკაპში ხელი ამოსდო, თვალეში ჩახედა.

თინა (ცივად, ხმადაბლა). რაც მამაა, შვილიც ისეთივე მათხოვარი ჰყოლია... სიმართლის მიძებნელი!.. არ დაგინახო ჩემს ოჯახში! (ჩქარიუ ნაბიჯით გადის.)

თემური (კოტეს). არაფერი გამოვიდა, უფრო გაცხარდა ქალბატონი თინა. ვხედავდი, როგორ იტანჯებოდა ლალი და ერთი რამ მოივიფიქრე. დათოს ვურჩიე, მშობლებდ შეეხვეწე, ინსტიტუტში წელიწადს ნუ დამაკარგვინებთ, გამიშვით თბილისში და იმ გოგოს აღარ გავეკარები-თქო. გასჭრა ჩემმა ეშმაკობამ. გამოუშვეს, მაგრამ დედამისიც თან გამოჰყვა. დათოს ყოველი ნაბიჯი იცოდა. როცა დარწმუნდა, ყველაფერი რიგზეაო, წავიდა. მე ვხედავდი როგორ იტანჯებოდა დათო, ხშირად უთქვამს, ჩემი და მაგისიცხოვრება არ გამოვა, სულს ამოგვხდიანო, მერე გავიგეწ, რომ...

პაუზა.

კოტე. რა გაიგე?

თემური. გავიგე, რომ ლალი შვილს ელოდა. ერთ საღამოს ღვინოს ვსვამდით, დავთვერი და დათოს ერთი დღე ვაწიე, მშობლები ვის არ ჰყოლია, მაგრამ ასე არ მოქცეულან-მეთქი. ხმას არ იღებდა. გაქვავებულივით იჯდა, მაგრამ როცა ვუთხარი, რამდენიმე თვეში შვილი გეყოლება-მეთქი, აფორიაქდა... თუ მიხს-ნის, ეგ ამბავი მიხსნის, იქნებ ამან მოარჯულოს ჩემი მშობლებიო. ვურჩიე, ვაჟკაცი თუ ხარ, ახლავე წადი ლალისთან, ცოლოა-მეთქი. მაგრამ ქალბატონმა ანეტამ თავი მოიკლა – სად მიდიხარ, დათო, ხომ იცი, დედაშენის და მამაშენის ამბავი, გადაირევიანო.

კოტე. ანეტა?

თემური. ანეტამ, კი!

კოტე (ანეტას). რას ერჩოდით ამ ხალხს, რა გინდოდათ?

ანეტა. მე რას ვერჩოდი, შვილო, რა... ვერც თქვენ ხვდებით, რატომ აღარ მინდოდა მათი ერთად ყოფნა?

კოტე. გვითხარით.

ანეტა. ვიცოდი, თინას და ბიძინას რაც ედოთ გულში, ვიცოდი, რომ ისინი არაფერს დათმობდნენ – თავს მოიკლავდნენ და ლალის სახლში არ შეიყვანდნენ. მე კიდევაც, ლალი მეცოდებოდა, მებრალებოდა, უმამოდ გაზარდა დედამისმა. ამიტომ მინდოდა ყველაფერი უცებ დამთავრებულიყო. ყველაფერს უცებ მოღებოდა ბოლო. იქნებ ამით გადაევიწყებინათ ერთიმეორე.

კოტე (თემურის). მერე?

თემური. მე მაინც ჩემი გავიტანე და დათო ლალისტან წავიყვანე. უკან რომ ვბრუნდებოდი, მეგონა ამ ქვეყანაზე ჩემზე ბედნიერი კაცი არ არსებობს-მეთქი. ორი ადამიანი გავაბედნიერე, მაგრამ მე... იმ საღამოს საბოლოოდ დავკარგე ლალი.

კოტე (ლალის). მაშ, მობრუნდა.

17.

ლალი. დიახ, მობრუნდა.

კოტე. და თქვენ ბედნიერი იყავით.

თემური. ცოტა ხნით.

კოტე. რატომ, ცოტა ხნით?

თემური. მალე ქალბატონი თინა ჩამოვიდა, დათოს დედა. ნერვიულობდა, ჩხუბობდა, იმუქრებოდა, იმ ქალს ჩემს ოჯახში არ შემოვუშვებო.

კოტე. დათო?

თემური. ეს რას ჰგავს, ორივეს ციხეში ჩაგყრით, ხელმოუწერელნი უზნეო ცხოვრებას რომ ეწვევითო. ლალი წივილ-კივილით გააგდო სახლიდან.

კოტე. რატომ მანამდე არ მოაწერეს ხელი?

თემური. დათოს პასპორტი ქალბატონმა თინამ გადამალა.

კოტე. შემოვიდეს ქალბატონი თინა!

თემური გადის და შემოჰყავს ქალბატონი თინა.

აქ დაბრძანდით, ქალბატონო, დიახ, აქ, ახლოს. თემურ, ცოტა ხნით ჩამოჯექი.

თინა. გმადლობთ. (დაჯდა და ახლავდა შენიშნა ლალი. დაჟინებით დააცქერდა. და ჩვენ ვგრძნობთ, თუ როგორ აივსო ბრაზითა და რისხვით. თვალები ისე გაუფართოვდა, ლამის ამოუვარდეს. მერე წამოდგა, ნელ-ნელა წავიდა ლალისკენ. ერთიანად დამაბულია.)

კოტე. დამშვიდდით, ქალბატონო თინა, დაბრძანდით.

თინას არარაფერი ესმის. აი, მიუახლოვდა ლალის, ხელები წაიწვდინა, რომ მოსპოს, გააცამტვეკეროს, გააქროს, ასე უნდათ მის თვალებს, ასე უნდათ მის ხელებს, მაგრამ...

თინა. დათო, შვილო! (იკივლა და ზედ ლალის წინ ჩაიკეცა. ისედაც ყველა ფეხზე იდგა, მიცვივდნენ, წამოაყენეს).

კოტე. წყალი, ჩქარა!

ვიღაცამ წყალი მოარბენინა, თინა სკამზე დასვეს, წყალი აპკურეს და მანაც მოიხედა.

თინა. რა გინდათ ჩემგან, დამეხსენით!

კოტე. დამშვიდდით, ქალბატონო თინა, დაწყნარდით.

თინა. რა გინდათ ჩემგან, მე უბედური დედა ვარ, რა გინდათ! (აქვითინდა.)

კოტე. დამშვიდდით, ქალბატონო, დაწყნარდით!

მაგრამ ქვითინი უფრო ძლიერდება, თინასთან მიდის ლალი, დაიჩოქებს, მუხლებზე თავს დაადებს და ისიც აქვითინდება.

შევისვენოთ ნახევარი საათი, თემურ, სასწრაფოს გამოუძახეთ.

18.

მოქმედება მეორე

იგივე ოთახი. სცენაზე იგივე პერსონაჟები არიან.

კოტე (თინას). ახლა როგორ გრძნობთ თავს?

თინა. მე აღარასოდეს ვიქნები კარგად.

კოტე. მართალს ბრძანებთ, დიდი უბედურება დაგატყდათ, მაგრამ ძალიან გთხოვთ ღონე მოიკრიბოთ, ბევრი საქმე გვაქვს, უნდა დაგვეხმაროთ.

თინა. ბრძანეთ.

კოტე. ცოტა ხნით აი, იქ დაბრძანდით, კუთხეში.

თინა. თქვენ ხომ იცით, დიდხანს ვერ გავჩერდები.

კოტე. დაბრძანდით. ბაადურ, აქეთ მობრძანდით.

ბაადური. გისმენთ.

კოტე. რამდენიმე კითხვაზე უნდა მიპასუხოთ.

ბაადური. გისმენთ.

კოტე (ოთახში დააბიჯებს). ახლავე... ახლავე, ამ წუთში.

ბაადური. ხომ იცით, როგორ მეჩქარება... ყოველი წუთი ძვირფასია ჩემთვის.

კოტე. ახლავე, ახლავე, სტადიონზე თუ იყავი გუშინ!

ბაადური. რა?!

კოტე. გუშინ სტადიონზე თუ იყავით?

ბაადური. რა მესტადიონება, ორი თვეა წესიერად არ მიძინია.

კოტე. არც ტელევიზორში უყურეთ ჩვენსა და იტალიელების თამაშს?

ბაადური. იცით რა... თუ სხვა საქმე არაფერი გაქვთ...

კოტე. ფეხბურთი არ გიყვართ?

ბაადური. ბატონო კოტე, აი, ის სახლი, წელან რომ დაგანახეთ, თითქოს ამ მხრებზე მაწევს და სტადიონისათვის მცხელა?

კოტე. ჰო, გეჩქარებათ.

ბაადური. მეჩქარება რომელია!

კოტე. თუმცა, თქვენ შეგიძლიათ წახვიდეთ კიდეც...

ბაადური. ასე გეთქვით... თორემ ეს ფეხბურთიო, ეს ტენისიო, რამდენი რამ ხდება ჩვენში... ეს სახლი კი...

კოტე. დიდი ხანია ამ სახლს ასენებთ?

ბაადური. მეოთხე წელია სული ამომხადა კაცს.

კოტე. მანამდე სად აშენებდით?

ბაადური. მანამდე შორს ვიყავი. აბა, კარგად ბრძანდებოდეთ, ბედნიერად!

კოტე. მაინც სად მუშაობდით ადრე?

ბაადური. აქ არა... კახეთში.

კოტე. დიდი ხანი იყავით კახეთში?

ბაადური. თავისუფალ დროს სწმოგივლით და ჩემს ბიოგრაფიას უსათუოდ გაგაცნობთ, ახლა კი... მოგეხსენებათ...

კოტე. რამდენი წელი იყავით კახეთში?

ბაადური. სამი.

კოტე. ვიდრე კახეთში ჩახვიდოდით?

დუმილი.

მანამდე სად მუშაობდით?

დუმილი.

-- ა, ბაადურ, ბოლოს და ბოლოს მიპასუხებთ თუ არა. რა მოვდით?

19.

ბაადური. ქუთაისში.

კოტე. უფრო ზუსტად?

ბაადური. სამშენებლო სამმართველოში.

კოტე. კიდევ უფრო ზუსტად?

ბაადური. მესამე სამმართველოში.

კოტე. მმართველი ვინ იყო?

ბაადური. მმართველიუ?

კოტე. დიახ, მმართველი.

ბაადური. კი მაგრამ... მერე რა მოხდა?

კოტე. მმართველი ვინ იყო-მეთქი!

ბაადური. ბიძინა ჩიგოგიძე.

კოტე. აი, აქ დაბრძანდით. მოკლულის მამა?

ბაადური. მერე რა მოხდა? მე ისე მეჩქარება...

დუმილი.

კოტე (კარგა ხანს დაჟინებით შესცქერის ბაადურს). დაჯექით! მოხდა ის, რომ თქვენ რარაცას მალავთ, ესე იგი, რაღაც ცუდი ჩაიდინეთ, შეგნებულად ჩაიდი-ნეთ ცუდი!

ბაადური. ამან კაცი მოკლა და ცუდი მე ჩავიდინე? სამართალი არ რის?

კოტე. ტყვიის გასროლა არაფერია. ტყვიას ერთი ისვრის, მაგრამ... ჩვენ რა გავაკეთეთ ამ საქმისათვის? მიმბეთ, რაც იცით!

ბაადური. თქვენ მე... თქვენ მე... რა გინდათ ჩემგან?

კოტე. თქვენ დავალებული იყავით დათოს მამისაგან. იქნებ სწორედ მისი წყალობით გადმოხვედით ქუთაისიდან თბილისში და აქ დაიწყეთ მუშაობა. მერე, როცა ბატონ ბიძინას დასჭირდით, მოგაკითხათ. იყო თუ არა ასე?

ბაადური. დავუშვათ, რომ ასე იყო.

კოტე. დააზუსტეთ ნათქვამი.

ბაადური. ასე იყო.

კოტე. უკანასკნელად როდის მოვიდა თქვენთან ბიძინა ჩიგოგიძე?

ბაადური. არ მახსოვს.

კოტე. გაიხსენეთ!

ბაადური. დიდი ხანია თვალთ არ მინახავს.

კოტე (ანეტას). როდის ჩამოვიდა უკანასკნელად ბიძინა ჩიგოგიძე?

ანეტა. აბა, რომ არ მახსოვს?

კოტე. გაიხსენეთ. რომელი თვე იყო?

ანეტა. მგონი, კიდეც ციოდა, იმ დღეს შეშაც დავაპე.

ლალი. თვრამეტი მარტი!

კოტე. თვრამეტი მარტი?

ლალი. დიახ. (კვლავ შებრუნდა. არც სურს ამ საუბრის მოსმენა. არც აინტერესებს. ახლა უბრალოდ კოტეს დაეხმარა.)

კოტე (ბაადურს). რატომ იყო თქვენთან ბიძინა ჩიგოგიძე თვრამეტ მარტს, რა უნდოდა, რა მოგთხოვდა?

ბაადური. მე თქვენი ამბავი ვერ გამიგია. კაცი ამან მოკლა და მე რატომ მიწყობთ ასეთ დაკითხვას?

კოტე. თქვენ რასაც გეკითხებიან, იმას უპასუხეთ.

ბაადური. ნაჩქარევი ხომ არ არის თქვენი კითხვები?

კოტე. ერთი აქეთ მოდით -- თქვენ თუ იცით, როგორ შეიძლება მოისპოს ყოვე-

20.

ლგვარი დანაშაული?

ბაადური. ძალიან უბრალოდ -- ყველა კაცისმკვლელს, ქურდს, ყაჩაღს რომ ციხეში ჩასვამ, დანაშაულს ვინდა ჩაიდენს?

კოტე. სხვა მოვა, სხვა გაიზრდება.

ბაადური. აბა?

კოტე. მთავარია იპოვო ის, თუ რატომ მოხდა დანაშაული. კაცისკვლას ერთი სჩადის, მაგრამ სასხლეტის გამოწვევაში მას მრავალი ეხმარება. დათო ლალიმ მოკლა, ეს ცხადია, მაგრამ... როგორი იყო ყოველი ჩვენგანის როლი ამ საქმე-ში, ვინ რა წვლილი შეიტანა. ერთი სიტყვით, რატომ მოვიდა ბიძინა თქვენთან იმ დღეს?

ბაადური. მე ბიძინას დიდ პატივს ვცემ. დავალებული ვარ მისგან, მაგრამ უკანონო მაინც არაფერი გამიკეტებია.

კოტე. იმ დღეს რა მოგთხოვდა?

ბაადური. არაფერი. უბრალოდ მოვიდა, მომინახულა, თავისი დარდი გამიზიარა.

კოტე. სტყუით! იგი მოვიდა და მოგთხოვდა, რომ ლალი სამსახურიდან გაგეგ-დოთ, მოგთხოვდა, რომ ლალი თბილისიდან გაგეძევებინათ. ამაზე ამყარებდა იმედს. აი, რატომ მოვიდა თქვენთან ბიძინა. იყო თუ არა ასე?

ბაადური. არავითარი აზრი არა აქვს იმას, თუ რა მომთხოვა ბიძინა ჩიგოგიძემ. მთავარია ის, თუ რამდენად სამართლიანად მოვიქეცი მე. მე სამსახურიდან

დავითხოვე ადამიანი, რომელიც აცდენდა, სამსახურში არ ცხადდებოდა, თბილისიდან ამოვწერე ადამიანი, რომელიც ჩვენთან აღარ მუშაობდა, მის მაგივრად სხვა მივიღეთ და თბილისშიც ჩავწერეთ საცხოვრებლად ის, ვინც ოფლის ღვრის, ვინც მუსაობს. მითხარით – რა უფლებით უნდა დამემალა ასეთი რამ?

კოტე. თქვენთვის რომ ბიძინას არ ეთხოვა, ამას ხომ არ გააკეთებდი?!

ბაადური. რატომ არ გააკეთებდი? მშენებლობა ჩემი ღუქანი არ არის, სახელმწიფო საქმეა.

კოტე. ძალიან ეფარებით სახელმწიფოს ინტერესებს.

ბაადური. მე სახელმწიფოს სამსახურში ვდგევარ.

კოტე. ახლოს იყავით ჩიგოგიძეების ოჯახთან?

ბაადური. როგორ გითხრათ... კარგად ვიცნობ ოჯახს, მათს ინტერესებს.

კოტე. ალბათ, დამეთანხმებით, რომ ლალი ლამაზი გოგოა, საკმაოდ კარგად აღზრდილიც. ისიც დადგენილია, რომ ადრე ცუდი თვისებები არ გამოუვლენია. ხომ ვერ მეტყვი, რატომ უნდა ეთქვა ჩიგოგიძეების ოჯახს უარი მასზე?

ბაადური. ლალის მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა ყველა, ვინც დათოს დაუკავშირდებოდა.

კოტე. რატომ?

ბაადური. დათოს ბედი ადრევე იყო გადაწყვეტილი. იგი ვერავის შეირთავდა.

კოტე. უყვარდა ვინმე?

ბაადური. უკვე შერჩეული იყო ოჯახი, რომელიც ჩიგოგიძეებს უნდა დამოყვრებოდა. ეს ჩვენ, ახლობლებმა კარგად ვიცოდით.

კოტე. ვისი ოჯახი იყო ასთი?

ბაადური. არის ერთი, ფრიად კეთილშობილი ოჯახი. მე არ მიმაჩნია საჭიროდ მისი აქ სსენება.

კოტე. კი, მაგრამ... თქვენ, ქალბატონო თინა, თქვენ ხომ იცოდით, რომ თქვენს შვილს ლალი უყვარდა?

თინა. ჩემს შვილს საცოლე ჰყავდა, კეთილშობილი ოჯახის შვილი!

კოტე. თქვენს შვილს ლალი უყვარდა!

თინა. თქვენი შვილიოს ბელს თქვენ გადაწყვეტთ, უჭკუო ბავშვს არ მიანდობთ ამ

21.

საქმეს. დათო ჯერ კიდევ ბავშვი იყო.

კოტე. მიუხედავად ამისა, თქვენ მაინც ვალდებული იყავით ანგარიში გაგეწიათ იმისათვის, რომ ამ „ბავშვს“ მალე ბავშვი გაუჩნდებოდა.

თინა. მე არაფერი ვიცოდი!

კოტე. არაფერი იცოდით?

თინა. დიახ, არაფერი ვიცოდი.

კოტე. ლალი, იცოდა თუ არა ქალბატონმა თინამ, რომ შენ შვილს ელოდი?

თინა. არ ვიცოდი, ჩემთვის არაფერი უთქვამთ!

კოტე. მე ლალის ვეკითხები! ლალი, მიპასუხე!

ლალი. ახლა ამას რა მნიშვნელობა აქვს?

კოტე. შენ ვალდებული ხარ მიპასუხო, ხოლო თუ რასა აქვს მნიშვნელობა, ამას მე გავარკვევ. აცნობე თუ არა ჩიგოგიძეების ოჯახს, რომ შვილს ელოდი, მათს შვილიშვილს.

თინა. ენდეთ ოჯახის ქალს – არ ვიცოდი!

კოტე. ლალი!

თინა. რას ჩააცივდით მაგ ლალის, ნუთუ არ კმარა ის, რასაც მე გეუბნებით?

კოტე. არა, არ კმარა! ლალი, იცოდა თუ არა ქალბატონმა თინამ ეს ამბავი?

ლალი (მისთვის ყველაფერმა აზრი დაკარგა). არ იცოდა.

თინა. აი, ხომ გითხარით, რა საჭიროა ასეთი ჩაციება?

კოტე. თუ ასეა...

თინა. ასეა, ასე... მე რომ ეგ ამბავი მცოდნოდა...

კოტე. რა მოხდებოდა?

თინა. იქნებ ყველაფერი სულ სხვაგვარად შეტრიალებულიყო!

კოტე. კარგით, გასაგებია, მე მინდა ეს დავიჯერო... ერთი წუთით... (ჩანთაში რაღაცას ეძებს, როგორც ჩანს, რომელიღაც ქალაქი გაეგნა.)

ლალი (ხანგრძლივ დუმილს დაარღვევს). რას ნიშნავს...

კოტე. შენ რაღაცის თქმა გინდა, ლალი!

ლალი. არა, მე ისე...

კოტე. თქვი, გისმენთ!

ლალი (პაუზის შემდეგ). რას ნიშნავს, „იქნებ ყველაფერი სხვანაირად შეტრიალებულიყო“?

თინა. ამას მე მეკითხება?

კოტე. დიახ, თქვენ.

ლალი. რას ნიშნავს, „იქნებ ყველაფერი სხვანაირად შეტრიალებულიყო“?

თინა. ნუუ... მე მგონი, გასაგები უნდა იყოს, რასაც ნიშნავს – ბავშვის მოლო-დინი ყველაფერს შეცვლიდა.

ლალი. ესე იგი, თქვენ...

თინა. კი... სხვა გზა გვქონდა, გენაცვალე, ბავშვს ხო მარ დავლუპავდით.

დუმილი.

კოტე. ლალი!

დუმილი.

კოტე. ლალი, შენ რაღაცის თქმა გინდა.

ლალი. იცოდა!

თინა. ტყუილია!

ლალი. ყველაფერი იცოდა!

კოტე. საიდან?

ლალი. დათომ უთხრა.

კოტე. როდის?

ლალი. სწორედ იმ ღამეს, როცა სახლიდან გამაგდო. დატოს არ უნდოდა თქმა, მაგრამ როცა დარწმუნდა, ქალბატონი თინა არაფერს დათმობდა, შეევედრა, მალე შვილი მეყოლება და ნუ იზამ ამასო. მერე მეც დავეცი მუხლებზე, ჩემი შვილი მაინც შეიბრალებო, თქვენი შვილიშვილი-მეთქი. არაო... ოჯახის ინტერესები და ავტორიტეტი ყველაფერზე მაღლა დგასო... გამომაგდო. ის ღამე ვაჟას ძეგლთან გავათენე სკვერში.

კოტე. კარგი, დაჯექი, ლალი... მეც ასე ვფიქრობდი (თინას.) ქალბატონო, თქვენ!..

თინა. მე რა? ბრალსა მდებო?

კოტე. უფრო მეტიც -- თქვენ...

თინა. იმ ბავშვის ცოდვა დედამისის სინდისზეა!

კოტე. ლალის დედის?

თინა. დიახ.

კოტე. ეგ როგორ გავიგოთ?

თინა. დაუძახეთ, თვითონ თქვას.

კოტე. დედამისმა ურჩია ბავშვი დაბადებამდე მოეკლა?

თინა. თვითონ ილაპარაკოს.

კოტე. სემოიყვანეთ ოღლა მებურიშვილი!

თემური გადის. კოტე ოთახში ბოლთას სცემს. შემოდის ოღლა.

ოღლა. გამარჯობათ! ლალი, შვილო, (მივიდა, შვილს მოეხვია.)

კოტე. კარგით, საკმარისია. რამდენიმე კითხვა მაქვს თქვენთან.

ოღლა. მიბრძანეთ, ბატონო!

კოტე. აი, ამ ქალს თუ იცნობთ?

ოღლა. ვიცნობ, კი.

კოტე. როგორ, სად გაიცანით?

ოღლა. იმ უბედურის დედაა, ვიცი, ბედდამწვარი ქალია.

კოტე. ადრე იცნობდით?

ოღლა. არა, ერთ დღეს ბათუმში, სახლში მომადგა.

კოტე. თქვენთან ჩამოვიდა?

ოღლა. კი, ჩამოვიდა.

კოტე. გაიხსენეთ, როგორ იყო.

ოღლა. ყველაფერი მახსოვს, ახლავე. (თინას.) მობრძნდით ქალბატონო, მობრძნდით, დაბრძნდით ნუ დაგეძრახავთ, შიგნით შემობრძნდით, ზალაში.

თინა. აქ სჯობია, აივანზე. თან ვისაუბრებთ, თან ზღვას ვუყურებთ.

ოღლა. ბატონი ბრძანდებით.

თინა. მე მიცნობთ, ალბათ.

ოღლა. ვხვდები, ვინცა ხართ... (კოტეს.) მე მეგონა ჭკუაზე მოვიდნენ და სამშვიდობოდ გამომეცხადა-მეთქი. (თინას.) ერთი წუთით სახლში შევირბენ, დავტრიალდები, ასეთი ძვირფასი სტუმარი...

თინა. არ არის საჭირო. საქმეზე მოვედი. არ მცალია მაგისტოვის. ჩვენი შვილები ჯერ ბავშვები არიან. მაგათ ჭკუა არა აქვთ.

ოღლა. რა დროს მაგათი ჭკუაა, ბატონო.

თინა. მაცალეთ.

ოღლა. გაცლით, რავა არ გაცლით, მარა ხილს მაინც გამოვიტანდი.

თინა. არ არის საჭირო. (თავისთვის.) კაკაია სტრანიაა ჟენშინა!

ოღლა. ჩვენ თუ ჭკუით მოვიქცევით, ყველაფერი რიგზე იქნება.

23.

თინა. ეს სწორია, ჩვენზე ბევრია დამოკიდებული.

ოღლა. თქვენ განათლებული ხალხი ჩანხართ და მრუდს როგორ იტყვიან რამეს.

თინა. მე ბევრი დრო არა მაქვს. მოკლედ გეტყვი, რაც მინდა -- შენს ქალიშვილს ადრეც უნდა სცოდნოდა, რომ ჩემს ოჯახში ფეხს ვერ შემოდგამდა.

ოღლა. რა მითხარით, ქალბატონო?

თინა. რა გითხარით და თქვენი გოგო ჩემი რძალი ვერ გახდება.

ოღლა. აბა, ასე ჩავწინხლოთ ბავშვები? ახლავე მოუუსპოთ სიხარული!

თინა. ყველამ თავისი გზა და საქმე უნდა იცოდეს.

ოლლა. ჩემი შვილი არაფერშია დამნაშავე.

თინა. დამნაშავეც არის და მეტიც! ბიჭი შ ემიცდინა, გზა აურია ჩემს შვილს, მაგრამ ახლა ამიტომ არ მოვსულვარ აქ, სხვა რამე უნდა გითხრა – შენი შვილი ფეხმძიმედ არის. თუ დაუჯერებთ, დათოსგან ელოდება ბავშვს. არ ვიწყებ იმის ძიებას, ვისთან იწვა და კოტრიალობდა. ამიტომ თქვენც ჭკუით მოიქცით და მოგებული დარჩებით.

ოლლა. მაინც რას მირჩევთ ასეთს?

თინა. აი, აქ ათასი მანეთია. გაიკეთოს აბორტი და წამოვიდეს თბილისიდან. რა უნდა აიმა თბილისში, ბათუმში არ ჯობია? ამ ზღვას კაცი მიატოვებს? რა ლამაზი ქალაქია! წყნარი, მშვიდი, აქაც შეიძლება სწავლა. თუ ჭკუით მოიქცევა, არ დავივიწყებთ, კიდევ მივხედავთ.

ოლლა. ფული რამდენიაო, რა თქვით?

თინა. ათასი მანეთი. აწონ-დაწონეთ. ეგ დათოს ცოლი მაინც ვერ გახდება, რად უნდა ასე პატარა გოგოს უღელი კისერზე, რა დროს მაგის ბავშვია. ცხოვრება წინა აქვს, გამოცდილი ქალი ხართ და ჭკუით შეხედეთ საქმეს.

ოლლა. იცით რას გეტყვით?

თინა. თქვით, ნუ გერიდებათ!

ოლლა. თქვენც დაგწყევლოთ ღმერთმა და მაგ თქვენი ფულებიც, თქვე ყაჩაღებო!..

კოტე. კარგით, საკმარისია. დაიკავეთ თქვენი ადგილი, ქალბატონო თინა.

თინა. ჯერ სათქმელი მაქვს, არ დაგვიმთავრებია, ეს შესავალია მხოლოდ.

კოტე. მერე, მერე! დაიცადეთ! დაბრძანდით! ქალბატონო ოლლა, ერთი ეს მითხარით – ბავშვობისას როგორი იყო ლალი?

თინა. კი, მაგრამ...

კოტემ ხელით ანიშნა გაჩუმდით. ოლლას უსმენს.

ოლლა. დედა მოუკვდეს მაგას, ბავშვი ცუდი რომელი ნახეთ.

კოტე. როგორი ხასიათი ჰქონდა-მეთქი, მინდოდა მეთქვა, ამხანაგებში როგორ ეჭირა თავი?

ოლლა. ჰო, აი, მაგაზე სულ ვერხუბებოდი, ვტუქსავდი. სულ გაბუზული იყო, სულ მარტო ყოფნა უნდოდა, არავის ეკარებოდა.

კოტე. ამხანაგები?

ოლლა. არა ჰყავდა ამხანაგები, ხომ გეუბნებით, არავის ეკარებოდა. ჩხუბი უყვარდა, კი ჩხუბი უყვარდა ბავშვობიდან. რა ვქნა, ეგრე იყო.

კოტე. რატომ ვერხუბებოდა?

ოლლა. რომ წამოიზარდა, დამშვენდა, ლამაზი გოგო იყო, მოუკვდა დედა. ბიჭებს მოსწონდათ, ეგ კი არავის იკარებდა, თუ ვინმე შეუჩნდებოდა, თავში ჩანთას ჩაახლიდა.

კოტე. ლალი, არავის ახლოს არ იკარებდი, არავინ გინდოდა და როგორ მოხდა, რომ დათოსთან ასე უცებ დამთავრდა ყველაფერი.

ლალი. არ ვიცი...

კოტე. მაინც რას ფიქრობ, რა უნდა ყოფილიყო იმის მიზეზი, რომ ასე გაუხსენი გული.

ლალი. ვერ აგიხსნით, არ შემიძლია...

კოტე. ეს ცვენთვის გაუგებარი სიყვარულია.

ოლლა. სულ იმას გაიძახოდა, ჩემსავით სხვას არ უნდა უყვარდესო, წიგნებმა გადამირიეს შვილი, სიყვარულისთვის თავს მოვიკლავო.

კოტე. და, როცა ყველაფერი ეს დაიმსხვრა, გადადგა საბედისწერო ნაბიჯი, კარგით... (ლალის.) ლალი, შენ შვილს ელოდი, შვილს იმ ადამიანისგან, ვინც გიყვარდა. შეჭხაროდი თუ არა ამას?

ლალი. მე ვერ ვგრძნობდი ბავშვის მოლოდინის სიხარულს, ჩემი გონება დათოსკენ იყო.

კოტე. ესე იგი, შვილის მოლოდინი სიხარულს არ გგვრიდა?

ლალი. ჩემთვის მთავარი იყო დათო, ყველაფერი იქ იწყებოდა და იქ მთავრდებოდა.

კოტე. აბორტის გაკეთება რამ გადაგაწყვეტინა?

ლალი. მე არ გადამიწყვეტია – ხომ გითხარით, ჩემთვის ეგ საკითხი არც არსებობდა. მე არც ვფიქრობდი შვილზე.

კოტე. მაშ, როგორ?

ლალი. დედაჩემმა გამაკეთებინა.

კოტე. დედაშენმა?

ლალი. დიახ, დედაჩემმა.

კოტე. კი მაგრამ, ქალბატონო ოლლა! თქვენ ხომ კატეგორიული წინააღმდეგი იყავით, რამ გაიძულათ ასეთი რამ გერჩიათ თქვენი შვილისთვის?

თინა. ფულმა!

კოტე. რაო?

თინა. ფულმა!

ლალი. ტყუილია!

თინა. როგორ დაიჯერეთ ყველაფერი ის, რაც ამ ქალბატონმა გაიმბოთ.

ლალი. დედაჩემო!

თინა. თავს ნუ იკატუნებ!

ლალი. დედაჩემო, ხმა ამოიღე!

თინა. შენც იცი ეს, შენც კარგად იცი, რომ დედაშენმა ფული წამგლიჯა და აბორტი გაგაკეტებინა.

ლალი. დედა-მეთქი!

თინა. მე მართლა ჩავედი ბათუმში, ოლლასთან ვიყავი სახლში. ეს სწორი თქვა. კარგად მიმიღო, მაგრამ როცა აბორტზე დაუწვეე ლაპარაკი, გაჯიუტდა, სიტყვა შორს დაიჭირა.

კოტე. დაწვრილებით გვიამბეთ ყველაფერი, ქალბატონო ოლლა, აქეთ მობრძანდით... განაგრძეთ.

მეორდება წინა, ოლლასა და თიმას საუბრის მიზანსცენა.

თინა. თქვენი გოგო ჩემი რძალი ვერ გახდება.

ოლლა. აბა, ასე ჩავწინხლოთ ბავშვები? ახლავე მოვუსპოთ ცხოვრების სიხარული?

თინა. ყველამ თავისი გზა და საქმე იცოდეს. უნდა იცოდეს, რა გეკუთვნის ამ ქვეყანაზე.

ოლლა. ჩემს შვილს არაფერი დაუშავებია და ეგრე ნუ მელაპარაკებით.

თინა. დააშავა და მერე როგორ! ბიჭი შემიცდინა, გზა აურია ჩემს შვილს, მაგრამ ახლა ამიტომ არ მოვსულვარ, სხვა რამე უნდა გითხრა. შენი შვილი ფეხმძიმედ არის. თუ დაუფჯერებთ, დათოსგან ელოდება შვილს. არ ვიწყებ იმის ძიებას, ვისთან იწვა და კოტრიალობდა. ამიტომ თქვენც ჭკუით მოიქეცით და მოგებული დარჩებით.

ოლლა. მაინც რას მირჩევთ ასეთს?

თინა. აი. აქ ათასი მანეთია. გაიკეთოს აბორტი და წამოვიდეს თბილისიდან. რა უნდა აიძვროს თბილისში, ბათუმში არ სჯობია? ამ ზღვას კაცი მიატოვებს? რა ლამაზი ქალაქია! წყნარი, მშვიდი. აქაც შეიძლება სწავლა. თუ ჭკუით მოიქცევა, არ დაავივიწყებთ, კიდევ მივხედავთ.

ოლლა. ფული რამდენიაო, რა თქვით?

თინა. ათასი მანეთი. აწონ-დაწონეთ. ეგ დათოს ცოლი მაინც ვერ გახდება. რად უნდა ასე პატარა გოგოს უღელი დაიდოს კისერზე, რა ღროს მაგის ბავშვია, ცხოვრება წინა აქვს. გამოცდილი ქალი ხართ და ჭკუით შეხედეთ საქმეს.

ოლლა (ფული უკან მიუყარა). არა!

თინა. ჰა? ფული არ გინდათ? ფული?

ოლლა. არა-მეთქი!

თინა. აბა, რა გინდათ?

ოლლა. სამართალი!

თინა. რა სამართალი?

ოლლა. სამართალში მივალთ, ვიჩივლებთ, მართალია დიდი ხალხი ხართ, მაგრამ ჩვენც შეგვიძლია სიტყვის თქმა, ჩვენც გაგვიგონებენ!

თინა. ეგ რა შუაშია?

ოლლა. წიხლს არ დაგვაჭერენ. ვიჩივლებთ და ბავსვს მამის გვარს მივცემთ.

თინა. სულელი ყოფილხარ, დედაკაცო, შენ!

ოლლა. ჩემი საქმისა მე ვიცი.

თინა. როგორ, ფულზე უარს ამბობთ?

ოლლა. კი!

თინა. ფულზე უარს ამბობთ და ქალაქებს უნდა სდით?

ოლლა. ფულზე დიდი არაფერი არის ქვეყანაზე?

თინა. ამხელა ქალმა ეს არ იცი? ამას ვერაფერს წაუხტება წინ. რად გინდათ მაგ ამბავი! ლალი დათოს ცოლი მაინც ვერ გახდება, ჩემს შვილს საცოლვე ჰყავს. ჭკუას მოუხმეთ!

ოლლა. მე ჩემსას ვიზამ და თქვენ რაც მოგივათ, მერე ნახეთ.

თინა. თუ თქვენ სასამართლოში მიხვალთ, ამ საქმეს ქვეყანა გაიგებს, გოგოს სახელი გაუტყდება, ფულსაც დაკარგავთ და სახელსაც.

ოლლა. მაგ ფულით გინდათ ხელი დაიბანოთ ყველაფრისაგან?

თინა. როგორ, არ გყოფნით?

ოლლა. არ იცით, რომ არ გყოფნის!

თინა. აბა, რამდენი გინდათ?

ოლლა. მანდ ხომ ათასი მანეთია?

თინა. კი.

ოლლა. ორი ათასიც ზედ დაადეთ!

თინა. რამდენი?

ოლლა. სამი ათასი უნდა, სამი ატასი!

თინა. არ გამოვა! ამის ნახევარს სასამართლოში დავხარჯავთ და გაგამასხარავებთ, ქვეყანაში თავს მოგჭრით!

ოლლა. იმასაც ვნახავ, როგორ დაქორწინდება შენი ბიჭი.

26.

თინა. ეს ვინ ყოფილა!

ოლლა. კაპიკი არ დააკლდება, ერთი კაპიკი!

ლალი (ისტერიულად). დედა!

კოტე. კარგით, საკმარისია!

თინა (კოტეს). აი, ასეთ ხალხში გვქონდა საქმე და აქ ზოგიერთები კეთილშობილებაზე ლაპარაკობენ.

კოტე. ერთმანეთში ნუ აურევთ ჭუჭყსა და...

ლალი. ყველამ გამყიდა, არავინ დამინდო!

კოტე. დამშვიდდი, თემურ, წყალი!

თემური წყალს დაასხამს, კოტე ლალის მიუტანს.

ლალი. არ მინდა, არაფერი არ მინდა. მომკალით, რატომ მაწამებთ, რატომ უნდა ვუყურო იმას, თუ როგორ ჰყიდის დედა შვილს, არ მინდა, დამანებეთ თავი, არაფერი არ მინდა.

კოტე. დაწყნარდით (ოლლას.) ქალბატონო...

ოლლა. ბატონო!

ლალის ქვითინი თითქოს აკომპანემენტად გასდევს ამ დიალოგს. იგი ვერაფრით იკავებს ისტერიულ ქვითინს.

კოტე. როგორ ავხსნათ ყველაფერი ეს. რა ვუწოდოთ ამ საქმეს?

ოლლა. არ ვიცი, რაც გინდათ, ის უწოდეთ, მაგრამ...

კოტე. მაგრამ?

ოლლა. ჩემი შვილის საქმე წასული იყო. ეს ქალი თავს მოიკლავდა და ჩემს შვილს სახლში არ სეიყვანდა.

კოტე. და ეს თქვენ ვაჭრობის უფლებას გაძლევთ?

ოლლა. რა შეიცვლებოდა იმით, რომ მე ფული არ ამელო? არაფერი! აი, ეგ ქალბატონი უფრო ბედნიერი იქნებოდა, ფული შემოენახებოდა და გაიხარებდა, ეს რა ყვეყნებს გადავეყარეო.

კოტე. თქვენ არ გესმით, რომ საკუთარი შვილის სხეული გაჰყიდეთ?

ოლლა. მასე ნუ, შვილო, მასე ნუ იტყვით, მაგას ნუ მკადრებთ! მე ამ ხალხს სხვა ვერაფრით ვატკენდი გულს, ვერაფრით წავახდენდი, შეხედე, როგორი გაქსუებულია. ამას არაფერი სწამს ამ ქვეყნისა. მასე ნუ იტყვით.

კოტე. აბა, როგორ ვთქვა თ, როგორ ვიფიქროთ.

ოლლა. როგორ და უბრალოდ, შვილო! ლალი ჯერაც ბავშვი იყო, იქნებ კიდევ წამოწეოდა ცხოვრებას, იქნებ თავიდან დაეწყო ყველაფერი.

კოტე. და ამისთვის ფული უნ და აგელოთ?

ოლლა. რა ჯანდაბა და ჭირად მინდოდა მაგათი ფული! ფული ყოველთვის მიჭირდა, მაგრამ...ერთი კაპიკი, ერთი შაური, ერთი მანეთიც არ მომიკლია.

კოტე. არ მოგიკლიათ?

ოლლა. ერთი კაპიკი, შვილო! აი, აგერ არის სუყველა. მივხვდი, რომ მაგათთვის ყველაფერზე დიდი განძი ფულია და ეგ განძი წავართვი. სხვაგვარად მე რა შემეძლო. აგერ, ჩაიბარეთ. (ქალაქში შეხვეული მაგიდაზე დადო.)

კოტე. კი, მაგრამ...

ოლლა. არა, შვილო, ლალი, მე შენ არ გამიყიდინხარ, მე შენ ვერ გაგყ... (გული ამოუჯდება, თვითონაც აქვითინდა.) არა, შვილო, უბედურო შვილო... ასე რამ შეგაყვარა, ასეთი სიყვარული სად გაგონილა, შვილო, სად?

27.

კოტე. კარგით, ქალბატონო, დამშვიდდით.

ლალი. დედა! (დედას ცაეკრა.) მაპატიე, დედა, მაპატიე!

ოლლა. ღმერთმა, ღმერთმა გაპატიოს, შვილო, ყველაფერი შენი ობლობის ღმერთმა.

კოტე (ერთხანს ადროვა დედა-შვილს, ოთახში მიმოდის, ლალის). რა მოხდა აბორტის შემდეგ?

ლალი. მაშინ მივხვდი, რაც დაგკარგე. მანამდე არც ვფიქრობდი ბავშვზე. აბორტამდევე ყველაფერი უბრალოდ მეჩვენებოდა, ყველაფერი მოგვარდება-მეთქი, ვფიქრობდი, მაგრამ იმ დღის შემდეგ ასე მეგონა, რომ ადამიანებისაგან გამაძევეს, გამაგდეს, დათოც დაგკარგე, შვილიც... ყველა, ყველა დაგკარგე.

კოტე. ოდესმე თუ გიფიქრია, რომ დათომ მოგატყუა?

ლალი. არა.

კოტე. ბოლომდე გწამდა მისი?

ლალი. ხომ გითხარით მას შემდეგ, რაც შვილი მოვიცილე, ყველაფერი აირია, ვგრძნობდი, როგორ ვკარგავდი დათოს. ბოლოს, როცა ის წერილები ვნახე...

კოტე. რა წერილები?

ლალი. რომელსაც დათოს ქუთაისიდან სწერდა მისი საცოლე.

თემური. დათოს არავითარი საცოლე არ ჰყოლია!

კოტე. მაშ, რა წერილებზეა ლაპარაკი?

თემური. მენდეთ, დათოს არავინ ჰყვარებია ლალის გარდა.

ლალი. კი მაგრამ... მე თვითონ ვკითხულობდი იმ წერილებს.

კოტე. ვინ იყო ის საცოლე, იმ „კეთილშობილი ოჯახის“ შვილი?

თემური. დათო არავითარ წერილებს არ ღებულობდა.

კოტე. იმ „კეთილშობილი ოჯახის“ შვილი?

თემური. ეზიზღებოდა, ვერ იტანდა. ამიტომ იყვნენ ასე გაშმაგებულნი დათოს მშობლები.

ლალი. თემურ, შენ ამას მართალს ამბობ?

თემური. დამიჯერეთ, ხალხნო! ლალი, დათოს მხოლოდ სენ უყვარდი. მხოლოდ შენდ ა მეტი არავინ!

კოტე. გამაგებინეთ რა წერილებზეა ლაპარაკი!

ლალი. აღარ სემძლია... არ ვიცი... აი, დეიდა ანეტას ვებრალებოდი და საიდუმლოდ ჩემთან მოჰქონდა ის წერილები.

კოტე. ანეტა ბაინდურაშვილო, აქეთ მობრძანდით!

ანეტა. იყო, შვილო, ეგრე იყო.

კოტე. რა წერილები იყო, გამაგებინეთ.

ანეტა. ქუთაისიდა მოდიოდა წერილები.

კოტე. ვისგან?

ანეტა. მე არ ვიცი, რო...

კოტე. თქვენ როგორ გივარდებოდათ ხელში ის წერილები? დათო გაძლევდათ? იქნებ ჰპარავდით დათოს... ხმა ამოიღეთ, რატომ არაფერს ამბობთ?

ანეტა. მე არ ვიცი, რო...

კოტე. როგორ არ იცით! საიდან, ვისგან ლებულობდით იმ წერილებს?

ანეტა. ქუთაისიდან.

კოტე. ვისგან?

ანეტა. არ ვიცი...

კოტე. იქნებ ქალბატონი თინა აგზავნიდა?

ანეტა. არ ვიცი, ახლა მართლა ასე მგონია, რომ თინა გზავნიდა იმ წერილებსა...

კოტე. ეგრე რატომ გგონიათ?

28.

ანეტა. იმიტომ, რომ... რა ვიცი... მებრალეობდა ლალი... ტყუილად იტანჯებოდა. ეს იცოდა თინამ და ერთხელ შემეხვეწა მიშველე, ცამოცილდეს ეგ გოგო ჩემს ბიჭსა, მე მაგას სახლში არაფრით არ შევიყვან, დათოს კარგი საცოლე ჰყავს, ხომ ხედავ, რა წერილებს უგზავნიდა. მე აქ წერილები არ მინახავს-მეთქი. როგორ არა, ყოველ კვირაში წერილებს უგზავნიდა და როგორ არ გინახავს! აი, ერთხელაც ნახე და დარწმუნდები როგორ უყვარს იმ გოგოს ჩემი ბიჭიო. იმას მერე მართლა მოდიოდა წერილები. მე ჩემი მოკლე ჭკუით ასე გადავწყვიტე? ამ წერილებს დათოს არც ვანახებ და ყველას ლალის წავაკითხებ, იქნება ამით მაინც დარწმუნდეს, რა ამბავია მის თავს და დროზე მოეშვას ამ ხალხს-მეთქი.

კოტე. მაშ, გამოდის, რომ დათოს ის წერილები არც უნახავს.

ანეტა. არა, არ წაუკითხავსა. მე იმ წერილებს დათოს როგორ წავაკითხებდი. მაშინ მართლა მეგონა, რომ საცოლე სწერდა.

კოტე. თქვენ თინამ ანკესზე წამოგაგოთ, ბრმა იარაღად გამოგიყენათ.

ანეტა. ჩემი სიბნელითა, ჩემი უესმაკობითა... მომატყუა, მაგას ახლა კი ვხედავ, მაგრამა...

კოტე (ლალის). სულ რამდენი წერილი მოიტანა?

ლალი. არ მახსოვს, არაფერი არ მახსოვს. დამანებეთ თავი.

კოტე. გაიხსენე.

ლალი. ვერაფერს ვერ გავიხსენებ... თავი დამანებეთ, მე მაშინ მართალი ვიყავი. ყოველ შემთხვევაში ასე მეგონა... ახლა რაღა ვქნა... რა ვქნა... მეზიზღებით, ყველანი მეზიზღებით!

კოტე. თინა ჩიგოგიძე, თქვენ ადასტურებთ, რომ ამ წერილებს აგზავნიდით?

თინა. მე ერთხელ უკვე განვაცხადე -- ჩვენი ოჯახი კატეგორიული წინააღმდეგი იყო ამ ქალიშვილის. ჩვენ ეს ქალი რძლად არ გვინდოდა და ვებრძოდით კიდევ. მე მეზიზღება ეს ქალი!

კოტე. წერილებს ვინ წერდა?

თინა. ხომ გითხარით -- ჩვენ ვცდილობდით, ვებრძოდით.

კოტე. წერილები!

თინა. იქნებ მე ვწერდი, იქნებ ჩემი ქალიშვილი. იქნებ სხვას ვაწერიდებდი. ამას რა მნიშვნელობა აქვს, ყველაფერს ვაკეთებდი მე! არ მოეშვა ჩემს შვილს, კუდში დასდევდა.

კოტე. ეს ანეტა როგორღა მოატყუეთ?

თინა. მე არავინ მომიტყუებია.

კოტე. აბა?

თინა. თვითონ მოიტყუა თავი, ვინ ეხვეწებოდა!

ანეტა. მაგას რატომ მკადრებ, ასეთი რა დამიშავებია შენთვის.

თინა. გამანებე თავი თუ ქალი ხარ, ნუ მოიტყუებდი თავს!

ანეტა. თქვენც მეცოდებოდით, ეს გოგო კიდევ უფრო მეტად. ასე რას გამაბრიყვებ?

თინა. თუ ბრიყვი არ იყავი, მე როგორ გაგაბრიყვებდი...

კოტე. ერთი წუთით... ერთი წუთით... თუ თქვენთვის ასეთი მეთოდები უცხო არ იყო... თქვენ ამბობთ, რომ იბრძოდით... ცდილობდით. თემურ, შემოიყვანე ისინი. ჩქარა! (თემური გადის.) თქვენ ამასაც იზამდით... ერთი წუთით იმ ოთახში გაბრძანდით. აქეთ, აქეთ.

თინა გადის. შემოჰყავთ გოგი და ზურა.

მოდით აქ!

29.

გოგის და ზურას დანახვაზე ლალი შეძრწუნებული შეჰყვირებს და ხელებში ჩარგავს თავს.

იცნობთ თუ არა ამ ქალს?

დუმილი.

ხმა ამოიღეთ, იცნობთ თუ არა ამ ქალს!

დუმილი.

გოგი. ის არის.

კოტე. ყველაფერი დაწვრილებით მოჰყევით.

გოგი. რა მოვყვით, ეგრე იყო, როგორც ვთქვით.

კოტე. როგორ იყო, აქ ამ ხალხის წინაშე აღიარეთ.

გოგი. ჩვენ... არა მე... ის გოგო უნდა დაგვეშინებინა, მე უნდა გამეკეთებინა, მერე ესეც ამეკიდა, ზურა... არ მინდოდა წამეყვანა, მაგრამ ძალით ამეკიდა, მერე კი მოვიშორე/. რა მექნა, ხელი შემეშალა და მოვიშორე.

კოტე. ლალიზე ილაპარაკე!

გოგი. ორი ღამე ვუდარაჯე. მომენტი არ იყო... სხვას ხომ არა, ისა... იმ საღამოს ვიცოდი, რომ ნამდვილად ჩამოივლიდა.

კოტე. საიდან იცოდი, ვინ გაგაგებინა?

გოგი. ერთი ჩერჩეტი ქალი არისო, ანეტა. იმას ისეთ რამეს ვეტყვით, პირზე არ დაადგება, გაიქცევა და ლალის ჩაუკაკლავს ყველაფერსო. ის სახლში არ გაჩერდება და გამოვაო.

კოტე. ეგ ვინ გითხრა?

გოგი. იმ ქალმა, ვინც საქმე მომცა.

კოტე. ანეტას იცნობ?

გოგი. არა, მე არ ვიცნობ, ის ქალი იცნობს.

კოტე. მერე?

გოგი. ლალი მართლა გამოვიდა. ღამე იყო, ბნელოდა.

კოტე. ლალი, მოდი!

მოდის ლალი. წინ გადაუდგა გოგი. უკნიდან ზურა მოუჭრის გზას.

გოგი. აბა, ერთი აქეთ მოდი!

ლალი. თავი დამანებეთ.

ახლა იგი თამამად ლაპარაკობს, თავის სტიქიაშია.

გოგი. მოდი, მოდი, მერცხალო, მოდი ჭირიმე, შენზე ამბობენ, ძალიან გემრიელიაო. შენზე ამბობენ, ძალიან ტკბილიაო.

ლალი. მომეცალე!

გოგი. როგორ მოგეცალო, მე არ მინდა?

ლალი. თავი დამანებეთ.

გაქცევას ცდილობს, მაგრამ გოგი და ზურა ყოველი მხრიდან გზას უკრავენ.

გოგი. აქეთ მოდი, რითი მიწუნებ?

ლალი. რმერთო... მიშველეთ!

30.

გოგი (გაარტყა)/. ენა ჩაიკმიდე, შენი... ისე, ლამაზი კი ხარ... ნუ იკბინები, თორემ... ერთსაც მოგდებ...

ეს უკვე აშკარა ხელჩართული ბრძოლაა, ლალი ყოველნაირად იცავს თავს, ზურა არ მონაწილეობს ამ წიდილში -- განზე გამდგარა.

ლალი. მიშველეთ! რა გინდათ ჩემგან, მიშველეთ!

გოგი. გაჩუმდი და ყველაფერი რიგზე იქნება. პასპორტში კი არ ჩაგიწერ ამ ამბავს. ნუ იკბინები, ახლა აქეთ მოდი. ცოტა განზე. ეგრე, ერთი კუთხეშიც მიგათრიო, უჰ, შენი დედა!

ლალიმ მუცელსი ჩაარტყა ფეხი და თავიც დააღწია ... გაქცევა უნდა, მაგრამ იქით ზურა დგას. უცებ შედგა და ... თვალის დახამხამებაში კაბა გაიხადა.

ლალი. მოდი!

გოგი ბარბაცით მიიწევს.

მოდის, მოდი-მეთქი. ჩქარა მოდი.

მაგრამ მისი კაბის გახდა იმას ჰგავს, მამაკაცები საჩხუბრად კოსტუმს რომ გაიხდიან ხოლმე.

მოდის, გინდა დაგატკბო? გასიამოვნო მო... (ხმა აღარ ეყო.)

გოგი შედგა. მაგრამ სულ ერთი წამით. კვლავ დაიძრა, თუმცა, ახლა იმ თავხედობის ნატამალიც არარ სერჩა. ინერციით თუ მიდის. ლალი უკან იხევს.

მაინც მოდიხარ? მაინც გინდა? მაშ, ვაჟკაცი ყოფილხარ. (უცებ ზურას დაეჯახა ზურგით.)

ზურა. გაჩერდი, ნუ გეშინია. (წინ გადაუდგა, აეფარა.) გოგი, შეჩერდი, გოგი, დაბრუნდი! (ლამის ქვითინი მოერიოს.) ეს ის არ არის, ეს ანგელოსია, გოგი!

გოგი შეყვონდა, ზურამ ღრო იხელთა, მივარდა, გაათრია. ღუმილი, გაოგნებული ლალი კაბას დასწვდა, ჩაცმა უნდა, მაგრამ ვერ მოუხერხებია. მექანიკურად მოძრაობს. მერე უცებ იყვირა.

დათო! მიშველე, დათო, სადა ხარ! (და გაიქცა.)

კოტე. ვინ დაგავალათ ეგ საქმე?

გოგი. ერთი ქალია, ძალიან სიმპათიური.

კოპტე. რამდენი მოგცა?

გოგი. არც არაფერი.

კოტე. რატომ?

გოგი. უნდა მოეცა, მაგრამ მერე ისეთი რამე მოხდა, რომ...

კოტე. იცნობ იმ ქალს?

გოგი. როგორ არა.

კოტე. თინა ჩიგოგიძე, შემოდით!

შემოდის თინა.

ეს არის?

31.

გოგი. ეს არის...

კოტე (თ ინას). რას იტყვით ქალბატონო თინა?

თინა. ვერაფრით მოვტეხე ლალი. არ მიდიოდა თბილისიდან.

კოტე. ბოლოს და ბოლოს თქვენი შვილი წაგეყვანათ ქუთაისში!

თინა. ეს უკანასკნელი ცდა იყო. თუ ლალი არ გადაიხვეწებოდა, მასეც ვიზამდით.

კოტე. ლალი, ეს ამბავი მოხდა ოცდახუთ მაისს. სწორედ მკვლელობის ღამეს. სად მიდიოდი?

ლალი. დათოდთან.

კოტე. რატომ? შენ ხომ აღარ ხვდებოდი მას.

ლალი. აღარ ვხვდებოდი, მაგრამ... დეიდა ანეტამ იმ საღამოს ისეთი ამბავი გამაგებინა, რომ...

კოტე. რა გაცნობა, (ანეტას.) ასეთი რა გააგებინე ამ ქალს...

ანეტა. უბედურება, უბედურება შვილო!..

კოტე. მაინც?

ანეტა (კარზე აკაკუნებს). ლალი, ლალი, შვილო!

ლალი. მობრძანდით, დეიდა ანეტა!

ანეტა. გეძინა? გეძინა, შე უბედურო? ხომ გეუბნებოდი, არ არიან-მეთქი ეგენი შენი ღირსი.

ლალი. რა მოხდა, დეიდა ანეტა!

ანეტა. მეხი და უბედურება თინა ჩიგოგიძეს!

ლალი. მითხარით!

ანეტა. ამოიგდე გულიდან ეგ გლახაკი ეგა, ამოიგდე გულიდან.

ლალი. ვინ? ვინ ამოვიგდო გულიდან?

ანეტა. ვინ და, დათო!

ლალი. რა მოხდა ასრეთი, არ იტყვი?

ანეტა. ვიღაც გათხუპნული გოგო მომადგა ახლა. დათოს საცოლე ვარო!

ლალი. დათოს საცოლე ვარო?!

ანეტა. თინ ას წერილიც მოიტანა.

ლალი. სად არის ახლა, ის გოგო?

ანეტა. სახლში დავტოვე, დათოს ოთახში... ხომ გეუბნებოდი, თავი დაანაბე მაგ ოხრებს-მეთქი. არ არიან ეგენი საშენო ხალხი, არ ესმით შენი სიყვარული და შეეშვი, დაივიწყე, ამოიგდე-მეთქი გულიდან.

ლალი (გაოგნებული). კი, ასე ვიზამ. (იცმევს.)

ანეტა. სად მიდიხარ?

ლალი. ახლავე მოვალ.

ანეტა. ცოტას ვიმასლაათებთ, ლალის გავართობ, გულს გადააყოლებს-მეთქი

ლალი. დამიცადე, ახლავე მოვალ.

ანეტა. ამოიგდე ეგენი გულიდან, შვილო, ამოიგდე! გული დამეწვა, ის გოგო თავზე რომ დამადგა, გულიც დაეწვა თინა ჩიგოგიძეს და სულიც!

ლალი (გადის). ახლავე მოვალ, დეიდა ანეტა, ახლავე მოვალ.

კოტე (ლალის). დათოს მოკვლა გადაწყვიტე?

ლალი. მტკვარში გადახტომა უფრო მქონდა გადაწყვეტილი. მინდოდა დათოს პასუხი გაეცა ყველაფერზე, ეპასუხა გაუტანლობისათვის, მოტყუებისათვის, ჩემი ბავშვის სიკვდილისათვის და მერე... მერე შემეძლო თავი მომეკლა.

კოტე (ანეტას). კი, მაგრამ თქვენ... თქვენ რას გარბოდით ლალისთან?

ანეტა. რას გავრბოდი და, ყველაფერი უნდა ჩამეკაკლა.

კოტე (უცებ იფეთქა). ჩაუკაკლეთ და ამით მკვლელობასაც შეუწყვეთ ხელი.

ანეტა. მე რა... მე ხომ არა... მე ხომ ის...

32.

კოტე. თქვენ, სწორედ თქვენ და არა სხვამ...

ანეტა. მე მაგათთვის კარგი მინდოდა... მე რა, შვილო...

კოტე (თავს ვერ იკავებს). რა და... რას დარბოდით ამდენს, რას მიგქონდათ ამბები იქით-აქეთ? ხმას რატომ არ იღებთ? ხომ ხედავთ, რით დამთავრდა ყველაფერი! რატომ დარბოდით-მეთქი ასე, მიპასუხეთ!

ანეტა. მეცოდებოდა, შვილო!

კოტე. რატომ, ასე რატომ გეცოდებოდათ?

ანეტა. მინდოდა დროზე გაეგო, რომ ეს ხალხი არ მორჯულებოდა, შიში მქონდა და იმიტომ ვშვრებოდი ამას.

კოტე. არ უნდოდათ და, მორჩა! იტირებდა, ივიშვიშებდა და ყველაფერი დამთავრდებოდა. ახლა ხომ ხვდებით, რომ ცუდ საქმეს სჩადიოდით.

ანეტა. არა, შვილო, არ არის ასე.

კოტე. აბა, როგორ არის, როგორ არის-მეთქი! კაცი უნდა მომკვდარიყო? ახალგაზრდა კაცი?

ანეტა (ღუმილის შემდეგ, თავჩაქინდრული, თითქოს თავისთავს ელაპარაკებაო). ისიც არ უნდოდათ... ისიც ლალის დღეში ჩააგდეს და მერე აღარ ინდომეს.

კოტე. ვინ ის?

ანეტა. ნინიკო, შვილო, პატარა ნინიკო.

კოტე (ყვირის). ვინ არის ნინიკო, ნინიკო კიდევ ვინდა!

ანეტა. ნინიკო, ჩემი გოგო... ჩემი შვილი... რა ხნის ამბავია. ისიც ლალივით აღარ ინდომეს და მტკვარში...

კოტე (შოკირებულია). რა?

ანეტა. მტკვარში გადავარდა... ზედგამოჭრილი ნინიკოა ლალი... როგორ ჰგავს, როგორ ჰგავს... შვილო, უბედურო, შვილო, აღარ ინდომეს და გადავარდა... სამსამი შვილი ჰყავთ იმის ტოლებსა, მიტოსაც სამი შვილი ჰყავს... ჩემი ნინიკო აღარ არის. ცხოვრება კი მიდის... მიდის...

მძიმე დუმილი.

კოტე (ოფლმა შუბლი დაუცვარა, საყელო შეიხსნა). უჰ... (ნერვიულად დააბი-ჯებს. ლალის.) დათოსთან ვინ დაგხვდა?

ლალი. გოგო იყო ერთი.

კოტე (თემურის). მოვიდა?

თემური თავს უქნევს.

შემოიყვანე!.. რას აკეთებდა იქ ის გოგო?

ლალი (თითქოს პირი უშრებაო, ლაპარაკობს პაუზებით). იწვა, დათოს ლოგინში იწვა. სწორედ იქ, სადაც მე ვიწექი ხოლმე.

კოტე. დათო?

ლალი. დათოც იქვე იწვა, მის გვერდით.

ნაზი (შემოდის). გამარჯობათ.

კოტე. მობრძანდით, რა იცით ამ მკვლელობის შესახებ?

ნაზი. რა უნდა ვიცოდე -- ჩხუბი იყო, შემოგარდა ქალი, ძალიან დიდი ჩხუბი, მერე...

კოტე. ეგ ვიცით. თქვენ დაწვრილებით გვიამბეთ, სად გაიცანით დათო, როდის გაიცანით, რა ურთიერთობა გქონდათ მასთან.

ნაზი. დათო?

კოტე. დიახ.

33.

ნაზი. მე ის არასოდეს გამიცვნია.

კოტე. ეგ როგორ?

ნაზი. უბრალოდ. არ ვიცნობდი. არასოდეს მინახავს.

კოტე. კი მაგრამ... თქვენ ხომ მასთან იწექით, ლოგინში იწექით...

ნაზი. ვიწექი, მერე რა...

კოტე. და არ იცნობდით?

ნაზი. იმ დამეს პირველად ვნახე.

კოტე. მის ლოგინში როგორ მოხვდით?

ნაზი. ჰო, ეგ სხვა ამბავია. ძალიან უბრალოდ. აი, ამან (გოგიზე მიუთითა.) მომნახა და მითხრა -- წამოდი, ამაღამ ერთ საქმეში გაგიყვან, ორი საათი დაგჭირდება სულ, მერე ფულს ჩაიდებ ჯიბეში და საითაც გინდოდეს, იქით მოუსვიო.

კოტე. გოგის საიდან იცნობდით?

ნაზი. დღეცა და ღამეც ჩვენს უბანშია. ფულს დამპირდა, რატომ არ უნდა მეკისრა. ფული კარგი საქმეა, თანაც სუფთად თუ გამოვიდოდი. სახლთან მიმიყვანა და მითხრა, ამ სახლში შედი, იქ ერთი მოხუცი ქალი დაგხვდება, იმას უთხარი,

რომქუთაისიდან ჩამოვედი და დათოს საცოლე ვარო. ეს წერილიც მიეცო. შევედი ეზოში, ეს მოხუცი ქალი შემეგება, სახლში შემიყვანა.

ანეტა. მობრძანდით, შვილო, შინ შემობრძანდი, ნუ გერიდება.

ნაზი. გამარჯობათ.

ანეტა. ვინ გინდა შვილო, ვისთან მოსულხარ?

ნაზი. დათოსთან ჩამოვედი.

ანეტა. ქუთაისიდან?

ნაზი. დიახ.

ანეტა. დათო რომ სახლში არ არის, წავიდა, შვილო!

ნაზი. არა უშავს, დაუცდი. მე მისი საცოლე ვარ. აი, ეს წერილი ქალბატონმა თინამ გამოგიგზავნათ. (კოტეს.) ეს რომ ვუთხარი ისე შემათვალეირა, თითქოს გასაყიდი ხარი ვყოფილიყავი.

კოტე. რა ეწერა წერილში?

ანეტა. სიკვდილი და უბედურება!

კოტე. მაინც?

ანეტა. ეგ გოგო ჩემი სარძლოა და კარგად მიმიხედე. არავინ არაფერი აწყენინოს, ორ-სამ დღეში მეც მანდ გავჩნდებიო, ცეცხლი წამეკიდა. ყველაფერი დავაგდე და ლალისთან გავიქეცი, ეს ამბავი გავაგებინე.

კოტე (ნაზის). თქვენ რა გააკეთეთ?

ნაზი. ეს ქალი რომ მიდიოდა, დათოს ოთახი რომელღია-მეთქი ვკითხე, მაჩვენა, დაღლილი ვარ და დავიძინებ-მეთქი ვუთხარი, ანეტა გასული არც მეგონა, გოგი შემოვარდა.

კოტე. რა უნდოდა?

ნაზი. დათოს ლოგინში უნდა დაგაწვინო, ვითომ მე ვერ დაცწვებოდი სხვის ლოგინში! მერე ეს თოფი დაინახა, კედელზე ეკიდა, რა კარგი თოფიაო, წაღება უნდოდა, მე არ დავანებე. როცა საქმეზე ხარ, ქურდობას თავი დაანებე-მეთქი. მართალი ხარ, საქმეს რომ მოვრჩები, მერე ავთესავო. სამი წუთიც არ გაჩერებულა, წავიდა. ახლა ერთ გოგოს უნდა დავუფეთ ო ანგელოზებიო.

კოტე. დათო გვიან მოვიდა?

ნაზი. ალბათ, კარგა გამოძინებულიც ვიყავი.

კოტე. რაო, რა გითხრა?

ნაზი. რა უნდა ეთქვა. უგონოდ მთვრალი იყო.

34.

კოტე (ირონიულად). თქვენისთანა ანგელოზებით სუფთა და მომხიბლავი ქალი რომ თავის ლოგინში ნახა, არაფერი უთქვამს?

ნაზი (ირონია იგრძნო, კოტეს ამრეზით გახედა). რას მეტყვოდა, კაცი აზრზე არ იყო, თორემ დაფეთებული ბევრი მინახავს.

კოტე. სად დათვრა?

ნაზი. რა ვიცი.

ბაადური. ჩემთან იყო. ბავშვს ვის დაბადების დღე მქონდა.

კოტე (თინას). თქვენ იცოდით, რომ იმ საღამოს დათო დაღევდა და იმიტომ შეარჩიეთ ეს დრო.

თინა. დიახ, ვიცოდი...

კოტე (ნაზის). განაგრძეთ, მერე რა მოხდა?

ნაზი. აი, მერე მოვიდა ეს გოგო და მოკლა.

კოტე. ეგრე უბრალოდ ესროლა და მოკლა?

ნაზი. ეგრე უბრალოდ, არა, მაგრამ...

კოტე. თქვით, ნუ ღეჭავთ.

ნაზი. ჩხუბი იყო, ძალიან მაგარი ჩხუბი.

კოტე. ვინ იჩხუბა. დათომ და ლალიმ?

ნაზი. არა, აი ამან და ამან. (ლალისა და გოგიზე მიუთითა.)

კოტე. კი, მაგრამ ეგ სად იყო?

ნაზი. მე არ ვიცი, მე მეგონა, მომიყვანა და წავიდა-მეთქი, მაგრამ აი, ეგ გოგო რომ შემოვარდა, ესეც ფეხდაფეხ მოჰყვა და გარეთ გაათრია.

გაითამაშებენ სცენას.

გოგი. გამოდი, გარეთ, გამოდი-მეთქი, შენი!..

ლალი. ხელი გამიშვი, ვინ ხარ!

გოგი. ხომ ხედავ, კაცი საცოლესთან წევს. რა გინდა მისგან.

ლალი. მაგის საცოლე მე ვარ, მხოლოდ მე. მეტი არავინ.

გოგი. რას იკბინები შენი! აჰა, შენ მაგისტოვის! კახპა! (გაარტყა, კიდეც გაარტყა.)

ლალი. დათო!

გოგი. ახლავე, ახლავე წადი თბილისიდან. გადაიკარგე თორემ.

დაუზოგავად ურტყამს, ლალი წაიქცა.

ლალი. დათო, დათო!

ნაზი. ეს გოგო ყვიროდა და ტიროდა. შემებრალა, ლოგინიდან წამოვხტი და გავედი. (გოგის.) შეესვი ამ გოგოს, რა გინდა!

გოგი. მომწყდი თავიდან!

ნაზი. თავი გაანებე, არ გესამის?

გოგი. წადი, ლოგინში ჩაწექი, თორემ კაპიკს არ მიიღებ!

ნაზი. თავზე გადაგახევ მაგ ფულებს, ხელი გაუშვი გოგოს.

ლალის მოეხვია, მის ფეხზე წამოყენებას ცდილობს, თუმცა გაოგნებული, დაუძლურებული ლალი ვერაფერს გრძნობს.

ლალი. დათო... დათო!..

გოგი. დედას გიტირებ მე შენ. წადი აქედან...

ნაზი. ნუ სტირი, აქა ვარ, დამშვიდდი... (გოგის.) წადი-მეთქი!

35.

ლალი. დედა... დათო, მომხედე, დათო!..

გოგი. მას, არ მიდიხარ? (გაარტყა, გასასვლელისაკენ მიათრევს.) არ მიდიხარ? ვერ ხედავ კაცს საცოლე ჩამოუვიდა...

ნაზი. გაუშვი, ხელი გაუშვი, მე სენ გეუბნები...

გოგი. ხელს ნუ მიშლი, მომწყდი თავიდან!

ლალი (ლაპარაკის ძალაც არ შესწევს). გამიშვით, დათოსთან მიმიშვით.

გოგი. არა! არა! არა! (ურტყამს.)

ნაზი (მღელვარებისგან აცახცახებული). ხელი გაუშვი!

გოგი. ახლავე გიჩვენებ თვალის სეირს... ახლავე. (გარბის დათოს ოთახისაკენ და უმაღლ შემობრუნდება სანადირო თოფით.) წადი, წადი, თორემ გესვრი.

ლალი (ბუტბუტებს). ჩვენ ერთად გვინდა... ერთად...

გოგი (თოფი შემართა). ახლავე გაგათავებ, შენი!..

ნაზი. გაგიჟდი?

გოგი. წადი, შენი... (ხელი გაჰკრა, წააქცია. ლალის.) იცოდე გესვრი, წადი, თორემ გესვრი! თოფი დატენილია, ტყვია გაფრენაზეა!

ნაზი (ქვა აიღო). მეც მირტყამ? აჰა, შე მათხოვარო, შენა! (დაარტყა. გოგი წაიქცა.)

ლალი (წამოდგა). დათო... დათო (თოფი აიღო და არეული ნაბიჯებით გაემარ-თა დათოს ოთახისაკენ.) დაგვანებეთ თავი, დაგვანებეთ თავი, ჩვენ ერთად გვინდა... ერთად...

ნაზი. დათოს ოთახში შევიდა და სროლის ხმაც გაისმა. ტყვია შიგ გულსი მოხვდა იმ ბიჭს, მერე გოგის ამის მოკვლა უნდოდა, კინალამ მეც მომკლა, მაგრამ, ილბალიძ! თოფში მეტი ტყვია აღარ იყო! ამასობაში ი ხალხიც მოცვივდა...ერთი ამბავი ატყდა. (ჩაფიქრდა.) იცით რა? ამ გოგოს არც გაუგია როგორ მოჰკლა ის ბიჭი. გოგი რომ ურტყამდა, ვერც გრძნობდა, სულ იმას გაიძახოდა დათო, წამოდექი მიშველეო!

**მონათხრობს ყველა იქ მყოფი თავისებურად განიცდიდა,
მაგრამ ქალბატონმა თინამ თავი ველარ შეიკავა და იყვირა:**

თინა. მე მოგკალი, შვილო, მე მოგკალი!

**მერე ხანგრძლივი სიჩუმე გაძეფდა. ყველა გაოგნებულია. კოტე ოთახში
დააბიჯებს. ეს ნერვიული ღუმილი კვლავ კოტემ დაარღვია. როგორც ჩანს, რაღაც
გადაწყვეტილება მიიღო.**

კოტე. ლალი, მოდი აქ. (ლალი ახლოს მოდის.) ჩვენ ახლა ასეთი რამ ვქნათ. აი, ასეთი ცდა ჩავატაროთ... ცდა კი არა... აი. აქ მაგიდა კი არ დგას, დათო წევს, გვერდით ისევ ის ქალი... რა გქვიათ?

ნაზი. ნაზი.

კოტე. ჰო, ნაზი! აი, წვანან ნაზი და დათო. შენ იცი, რომ ეს მისი საცოლეა, იცი, რომ ხვალ თუ ზეგ ცოლ-ქმარნი გახდებიან. შენ კი დარჩები მიტოვებული, შელახული, შენი სიყვარული არავის სჭირდება. შენ მიგაგდეს, გისროლეს, აი თოფი! აქ არის თოფი, აქ წევს შენი მომტყუებელი. (თოფი ხელში მიაჩეჩა.)

ლალი. არა, არ შემძლია.

თემური. შენ ახლა დათოსთან მირობდი და ქუჩაში გადაგიდგა არამზადა, მას უნდოდა ნამუსი წაერთმია შენთვის მაგ შენი სიყვარულის გამო. მერე მიხვედი და დაინახე, რომ ადამიანი, რომლისთვისაც ამდენი ეწამე, ადამიანი, რომლის გამოც

საკუთარ შვილსაც კი მოუსწრაფე სიცოცხლე და რომლისთვისაც კიდევ ყველაფერს გააკეთებდი, წევს ქალთან. დათო წევს ქალთან, რომელმაც შენ შეგცვალა და ახლა შენ შეგიძლია შური იძიო ყველაფრისათვის.

კოტე. მან არ დაგიცვა არამზადებისგან, არ დაიცვა შენი სიყვარული. მას მხოლოდ უყვარდი და ამით წაგართვა ყველაფერი, რაც გაგაჩნდა, ყველაფერი, რისი წართმევაც შეეძლო. მიგატოვა, აღარ იბრძოლა შენთვის, გაიქცა. თოფი ხელში გიჭირავს.

თემური. მერე შენ გცემეს, კახპა და გათახსირებული გეძახეს. მაგ შენს სიყვარულს, თავდადებას, შეუდრეკელობას ჭუჭყი მოსცხეს, ტალახში ისრო-ლეს, ფეხებით გატელესს, შენ სისხლში მოთხვრილი გდიხარ. ის კი აქ წევს ქალთან, რომელმაც შენ შეგცვალა...

ლალიმ თოფი ასწია. უმიზნებს, ყველანი დაძაბულნი ელოდებიან რა მოხდება.

კოტე. მან შენ არ დაგიცვა, იგი დამნაშავეა შენს წინაშე. (ლალიმ თოფი გაასწორა. დაუმიზნა.) იგი აქ წევს.

თემური. შენ შეგიძლია შური იძიო ყველაფრისათვის – შენი სიყვარულისთვის, შენი შვილისთვის, შენი დამცირებისთვის.

ლალი (თოფის მოძრაობა შეაჩერა, სასხლეტს თითი გამოსდო და გაიყინა. დაძაბული პაუზა). არა, ვერ მოვკლავ, მიყვარს, მიყვარს! თოფი მოისროლა და თვითონ იატაკზე დაემხო ატირებული.

კოტემ შვებით ამოისუნთქა. ლალი წამოაყენა, ერთხანს თვალებში ჩასცქერის. მერე ხელს მოხვევს, შუბლზე აკოცებს.

კოტე. კვლავ ცალკე საკანში გინდა?

ლალი. არა, აწი აზრი აღარ აქვს.

კოტე (თემურს) გაიყვანე.

თემურიმ თითქოს ხელიც კი გადახვია ლალის და ისე გაჰყავს. კარებთან შეჩერდებიან.

თემური. ლალი...

ლალი. გისმენ, თემურ...

თემური. ხო მარ დაგავიწყდა, რომ ზეგ...

ლალი. მანსოვს, ზეგ ოცდაერთის გახდებოდა.

თემური. ბიჭებმა გადავწყვიტეთ, აუცილებლად აღვნიშნოთ დათოს დაბადების დღე... ყველანი მოვლენ. ზურიკოც, ნანულიც, ამირანიც, ნუგზარიც, გიგაც, დიტოც...

ლალი. მე არ ვიქნები...

თემური. შენდა დათო ყოველთვის იქნებით ჩვენთან... ბიჭებს შენი ნახვა უნდათ... მე ვთხოვ ბატონ კოტეს.

ლალი. არა, თემურ, არ მოვიდნენ, არ შემიძლია.

თემური. უნდა შეიძლო... ჩვენ ყოველთვის ერთად უნდა ვიყოთ, ეს გაგი-ოლებს...

ლალი. კარგად იყავი, თემურ!

კოტე. ნახვამდის, ლალი! არ დაგვივიწყო. ყველაფერი კარგად იქნება.

ლალი გადის. სიჩუმეში ისმის მიმავალი ლალის ფეხის ხმა... თემური კარებში ჩადგება და ლალის შესცქერის. კოტე თავჩაქინდრული ზის მაგიდასთან. დანარჩენებიც თითქოს თავთავიანთ ადგილს მიეჯაჭვნენო, უძრავად სხედან. შუქი ნელ-ნელა ქრება. სიბნელეში ვიღაც წამოდგა, გასასვლელისკენ გაემართა.

კოტე. დაბრძანდით. დაიკავეთ თქვენი ადგილი!

1975

წ.

